თვისებრივი კვლევის ანგარიში

გოგონებისა და ფერეიდნური ასაკის ქალების გამოცდილებებისა და საჭიროებების კვლევა სექსუალური და გენდერული ძალადობის, სრჯ საკითხების, ოჯსუღობის შეწყვეტისა და ოჯახის დაგეგმვის მიმართ შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის მომიჯნავე სოფლებში

გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალების გამოცდილებებისა და საჭიროებების კვლევა სექსუალური და გენდერული ძალადობის, სრჯ საკითხების, ორსულობის შეწყვეტისა და ოჯახის დაგეგმვის მიმართ შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის მომიჯნავე სოფლებში.

თვისებრივი კვლევის ანგარიში

კვლევის ხელმძღვანელი:

ნინო წულეისკირი - დირექტორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

კვლევის კოორდინატორი:

სალომე იობაძე - პროექტების კოორდინატორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

მკვლევართა ჯგუფი:

ნინო ქოქოსაძე - მთავარი მკვლევარი

მარიამ კვიციანი - კვლევის ანალიტიკოსი

ქრისტინე ლორთქიფანიძე - კვლევის ანალიტიკოსი

მადლობა ასოციაცია ჰერა ოცდაერთს და კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კვლევის მონაწილეებსა და მკვლევართა ჯგუფს და შესაძლოა არ გამოხატავდეს შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციისა და შვედეთის მთავრობის მოსაზრებებს.

©ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

თბილისი, 2020

სარჩევი

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია **5**

1.1. კვლევის ამოცანები **5**

1.2. კვლევის მეთოდი **5**

1.2.1. ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები 5

1.2.2. კვლევის ინსტრუმენტი 6

1.2.3. კვლევის არეალი 6

1.2.4. კვლევის პერიოდი 6

2. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები **8**

3. ანალიზი და ინტერპრეტაცია **13**

3.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანრთმელობა **13**

3.1.1. სრჯ საკითხების ტაბუირება და ინფორმაციის ფლობა 13

3.1.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რეპროდუქციული ქცევა 14

3.1.3. სექსუალური ჯანმრთელობა და სექსუალური ქცევა 16

3.2. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანრთმელობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები **16**

3.3. ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები **23**

3.3.1. ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში არსებული ძალადობრივი გარემო და სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევა 23

3.3.2. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევის ხელშემწყობი ფაქტორები და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის ბარიერები 48

3.4. სერვისები და პროგრამები **57**

3.4.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები და პროგრამები 57

3.4.2. ძალადობისგან დაცვის და ძალადობის მსხვერპლის მხარდამჭერი პროგრამები ... 63

3.5. სერვისები და პროგრამები **64**

01

კვლევის მიზანი
და მეთოდოლოგია

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალების გამოცდილებების, საჭიროებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, მათ შორის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის და ოჯახის დაგეგმვის, გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართულებით.

1.1. კვლევის ამოცანები

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ხელოვნური აბორტისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ არსებული ცოდნის და დამოკიდებულებების შესწავლა შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალებში;
- გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებში სექსუალური/გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმათ დამოკიდებულებების შესწავლა;
- გოგონებსა და ფერტილარული ასაკის ქალებში სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებები და ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- გოგონებსა და ფერტილარული ასაკის ქალებში სექსუალური/გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჭიროებების და ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- გოგონებსა და ფერტილარული ასაკის ქალების ინფორმირებულობის ხარისხის დადგენა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული სერვისების და ხელმისაწვდომობის მიმართულებით;
- გოგონებსა და ფერტილარული ასაკის ქალების ინფორმირებულობის ხარისხის დადგენა სექსუალური/გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების და ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

1.2. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთისა“ და კვლევითი და საკონსულტაციო ჯგუფი „ანოვას“ მკვლევართა ჯგუფის მიერ. გამონდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანებიდან გამომდინარე, დაიგემა თვისებრივი კვლევა შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდენარე სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებთან. სამიზნე ჯგუფის შესწავლის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის ტექნიკა, ფოკუსური ჯგუფების სახით.

1.2.1. ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფები ჩატარდა უშუალოდ შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებთან. კვლევის ფარგლებში, ჯამში ჩატარდა ათი ფოკუსური ჯგუფი, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან:

- 5 ფოკუსური ჯგუფი - გოგონებსა და ახალგაზრდა ქალები, 14-20 წლის ასაკობრივ ჯგუფთან;
- 5 ფოკუსური ჯგუფი - ფერტილური ასაკის ქალები, 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფთან;

ფოკუს ჯგუფების გადანაწილება სოფლების/ქალაქის მიხედვით მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1. ფოკუს ჯგუფების გადანაწილება სოფლებში/ქალაქში.

ჯგუფების რაოდენობა		
დასახლებული პუნქტი	ახალგაზრდა გოგონები (14-20წლის)	ფერტილური ასაკის ქალები (20-40წლის)
წეროვანი	2	2
წილკანი	1	1
ერგნეთი	1	1
ვეხვები	1	1

1.2.2. კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად შექმნილი „ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო“ - სახელმძღვანელო შემუშავდა კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია ანოვას მიერ ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ჩართულობითა და დახმარებით.

1.2.3. კვლევის არეალი

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ფოკუსური ჯგუფების განხორციელება დაიგეგმა შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ოთხ სოფელში/ქალაქში - წეროვანი, წილკანი, ერგნეთი, ვერხვები. თითოეულ დასახლებულ პუნქტში ფოკუსური ჯგუფი ჩატარდა როგორც გოგონების, აგრეთვე ფერტილური ასაკის ქალებთან.

1.2.4. კვლევის პერიოდი

კვლევა მიმდინარეობდა 2 თვის მანძლზე, 2020 წლის 10 აგვისტოდან აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით. მონაცემების შეგროვება მიმდინარეობდა აგვისტოსა და სექტემბრის პერიოდში. კვლევის ანგარიში მომზადდა ოქტომბერში.

02

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

2. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია

კვლევის თანახმად, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის მომიჯნავე ქალაქებსა სოფლებში მცხოვრებ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლებებისა და სერვისების შესახებ.

- ინფორმაციის სიმწირის მთავარი მიზეზი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ტაბუირებაა. საზოგადოებაში არ არის მიღებული ზოგადად სექსუალობაზე, განსაკუთრებით კი ქალის სექსუალობაზე საუბარი.
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს როგორც მოზარდი გოგონებისთვის, ასევე ფერტილური ასაკის ქალებისთვის მეგობრები წარმოადგენენ. მეგობრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებას ინტერნეტის საშუალებითაც განიხილავენ.
- კვლევის თანახმად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვა საერთოდ არ ხდება ოჯახის წევრებთან, რასაც ერთის მხრივ განაპირობებს თავად მშობლების ცოდნის დეფიციტი სრჯ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც მშობლების, ასევე მოზარდების მხრიდან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრის დროს უხერხულობის შეგრძნება. გარდა ამისა, მოზარდი გოგონებისა და ქალებისთვის ინფორმაციის მიღების ბარიერს ქალების და გოგონების მიმართ გავრცელებული სტერეოტიპები წარმოადგენს. იმის გამო, რომ საზოგადოებისთვის ქალების ქორწინების გარეშე სექსუალური კავშირები მიუღებელია, ხშირ შემთხვევაში ვერ ხედავენ გოგონებისთვის ქორწინებამდე სექსუალურ ან რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას.
- როგორც სექსუალური, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაღებად კვლევის მონაწილეები პირველ რიგში გინეკოლოგთან კონსულტაციას განიხილავენ და ნაკლებად აქვთ წარმოდგენა სხვა ვინ შეიძლება იყოს ჩართული.
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ორივე ასაკობრივ სეგმენტში ინფორმაცია ყველაზე მეტად მენსტრუალურ ციკლზე და ორსულობაზე / შვილოსნობაზე აქვთ. თუმცა, მათი ცოდნები ამ საკითხებშიც ზედაპირული და არასრულია.

ინფორმაციის სიმწირიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პირველ რიგში დაიგეგმოს აქტიური საინფორმაციო კამპანია, როგორც სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უფლებების თვალსაზრისითაც.

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრის ბარიერი ხშირად უხერხულობის შეგრძნებაა, როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოხდეს სექსუალობასთან დაკავშირებული ტაბუების მოხსნაზე მუშაობა.

სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები

კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოზარდი გოგონებისა და ქალების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები ხშირად ირღვევა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- საზოგადოების მიერ აღქმული ქალის როლი და ფუნქციები - ქალის მთავარ ფუნქციად ოჯახის შექმნა, შვილების გაჩენა, შემდეგ კი შვილების და ქმრის მოვლა, ასევე საოჯახო საქმეების შესრულება მიიჩნევა. ამასთან, გოგონებს როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოების მხრიდან ზეწოლის გამო, ეზღუდებათ უფლება თავად აირჩიონ ოჯახის შექმნის დრო, თავად გადაწყვიტონ როდის ან რამდენი შვილი ეყოლებათ და ა.შ.

- ქალის სექსუალური და რეპდუქციული უფლებების რღვევას ხშირად საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს, როგორიცაა - "უშვილობა ქალის ბრალია", „კარგ დედას საკუთარი თავისთვის დრო არ უნდა დარჩეს", „კაცს უფლება აქვს ქონდეს სექსუალური კავშირი ქორწინებამდე, ქალს არა", „კაცი უფრო ჭკვიანია, კაცს მეტი შეუძლია, ქალი ყველა საქმეს ვერ აკეთებს, ქალის საქმე არ არის...", „ქალის კარიერული წარმატება კაცის დამსახურებაა" და სხვა. აღნიშნული სტერეოტიპები, ზოგიერთ შემთხვევებში ქალების მიმართ ნეგატიური სტიგმების გაჩენას უწყობს ხელს, რომელთაც როგორც წესი სექსუალური ხასიათი აქვთ, მაგალითად: თუ ქალს სექსუალური კავშირი ქორწინებამდე აქვს, ქმარს გაშორდა ან მეორედ გათხოვდა - „ქალი გზას აცდა".

- საზოგადოებაში ქალების კონტროლის და უფლებების შეზღუდვის ნორმალიზება - შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოზარდი გოგონებისა და ქალების ცხოვრების დიდი ნაწილი კონტროლდება, რასაც როგორც წესი, ქართული მენტალიტეტით ან ქართული ტრადიციებით ამართლებენ. მნიშვნელოვანია, რომ ქალების კონტროლი ხშირად სხვა ქალებისთვისაც მისაღები ხდება, ან თავად ქალი ვერ აღიქვამს მისი უფლებების შეზღუდვას. კვლევის თანახმად, მოზარდ გოგონებსა და ქალებს უკონტროლებენ ან უკრძალავენ - ბიჭებთან მეგობრობას, ჩაცმას, გვიან სახლიდან გასვლას (ხშირად სასურსათო მაღაზიაშიც კი), სასურველ აქტივობებში ჩართვას, მუშაობას და ქორწინებამდე სექსუალურ კავშირებს.

- აღნიშნულ რეგიონებში არსებული ძალადობრივი გარემო. თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მწვავე საკითხია ძალადობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა ძალადობის ფაქტიურად ყველა ფორმა: ეკონომიკური ძალადობა, როგორც სამუშაოს აკრძალვის, ასევე ქალის მიერ ნაშოვნი ფულის კონტროლის თვალსაზრისით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ბულინგი სკოლაში. აღნიშნულ რეგიონებში განსაკუთრებით მწვავე საკითხს წარმოადგენს ქმრების მხრიდან ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნის დროს სიტყვიერი შეურაცხყოფის ან ფიზიკური ძალადობის ფაქტები.

ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში არსებული ძალადობრივი გარემო რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის მნიშვნელოვანია გამოიყოს:

- **ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ ინფორმაციის სიმწირე - უფლებზე საუბარი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობამ საერთოდ ვერ შეძლო, არ აქვთ ინფორმაცია რაიმე საკანონმდებლო აქტზე ან დოკუმენტებზე, რომელიც ადამიანის სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებს არეგულირებს**
- **აღქმა, რომ უფლებების არსებობას აზრი არ აქვს, ვინაიდან გადამწყვეტი მაინც კაცის სიტყვაა - მიიჩნევა, რომ ოჯახში კანონზე მეტი წონა კაცის გადაწყვეტილებას აქვს, შესაბამისად, კვლევის მონაწილეები საერთოდ ვერ ხედავდნენ რაიმე დოკუმენტის ან უფლებების არსებობის აზრს. გარდა ამისა, არსებობს საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ ოჯახში მომხდარი მხოლოდ ოჯახის საქმეა, შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი ხშირად გრძნობს ზეწოლას არ ისაუბროს მომხდარზე.**
- **ძალადობის მსხვერპლის დადანაშაულება და მოძალადის გამართლების ტენდენცია - მათ შორის, ძალადობრივი ქმედებების გამართლება და ქალის დადანაშაულება თავად ქალების მხრიდანაც ხდება - „თავად ხომ არ დააშავე რამე?“, „გვიან ხომ არ იყავი გარეთ გასული?“, „ალბათ ნასვამი იყო“, „ალბათ წყობიდან გამოიყვანა“ და სხვა.**

- კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა ძალადობის შემთხვევაში სამართალ-დამცავებისთვის მიმართვის ბარიერები. როგორც კვლევით ირკვევა, ზოგადად, სამართალდამცავებისთვის მიმართვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განიხილება - როდესაც მეტის მოთმენა / ატანა ქალს აღარ შეუძლია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რის გამოც, შესაძლოა სამართალდამცავებისთვის მიმართვისგან ძალადობის მსხვერპლმა თავი შეიკავოს: ოჯახის დანგრევის შიში და „განათხოვრის“ სტიგმა, შიში რომ სამართალდამცავები ვერ შეძლებენ დაცვას და თუნდაც ციხიდან გამოსული ქმარი უფრო მეტად იძალადებს, მატერიალური მხარდაჭერის არქონდა, უარყოფითი დამოკიდებულება სამართალდამცავებისთვის მიმართვისადმი („ქმარი როგორ გაიმეტა პოლიციისთვის“) და სხვა.
- სამართალდამცავების ჩართვისგან თავს იკავებენ სხვა პირებიც, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ძალადობის შესახებ: ერთის მხრივ მოსაზრება, რომ მხოლოდ ოჯახის საქმეა, მეორეს მხრივ შიში, რომ მოძალადე გაიგებს და მასაც დაუშავებს რამეს.
- რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლის მხარდამჭერ სერვისებს, ყველა რეგიონში ინფორმაცია მხოლოდ 112-ზე აქვთ. კვლევის მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ სმენია ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის თავშესაფრის შესახებ, ერთეულ შემთხვევაში ახსენეს იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისებიც. თუმცა არ აქვთ დაზუსტებული ინფორმაცია, ასევე ფიქრობენ, რომ მათ რეგიონში მსგავსი სერვისები ხელმისაწვდომი არ არის.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებიდან, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს უპირატესად ოჯახის ექიმის და გინეკოლოგის მომსახურებით უსარგებლიათ, შესაბამისად, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში ფიქრობენ რომ გინეკოლოგთან / ოჯახის ექიმთან კონსულტაცია დაეხმარებათ მიიღონ ინფორმაცია სასურველ მომსახურებებზე. აღნიშნული სერვისის გარდა, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში ასევე აქვთ ინფორმაცია სკრინინგ პროგრამების შესახებ, რესპონდენტების ნაწილს აღნიშნული პროგრამებით თავადაც უსარგებლიათ. თუმცა, ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სხვა სამედიცინო თუ ფსიქოლოგიურ სერვისებთან დაკავშირებით.

გარდა ინფორმაციის ნაკლებობისა, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომი არ არის ტერიტორიის და ფინანსური თვალსაზრისითაც: რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მიღება მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი; ზოგიერთი მომსახურება, მაგალითად უშვილობის მკურნალობა ან ხელოვნური განაყოფიერება მათთვის ფინანსურად ხელმისაწვდომი არ არის. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხშირად რთულია უფასო სერვისებით სარგებლობაც, ვინაიდან გარდა ექიმთან უფასო კონსულტაციისა, მათ უწევთ დანიშნულების შესრულება/ მედიკამენტების შეძენა, რისი შესაძლებლობაც ხშირად არ აქვთ.

საზღვრის მიღმა დარჩენილი მოზარდი გოგონებისა და ქალების სექსუალური და რეპრო-დუქციული საჭიროებები

თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს, არ აქვთ კომუნიკაცია საზღვრის იქით დარჩენილ მოსახლეობასთან. შესაბამისად ვერ შეძლეს იქ არსებული მოზარდი გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და სერვისებზე საუბარი.

03

ანალიზი და ინტერპრეტაცია

3. ანალიზი და ინტერპრეტაცია

3.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანრთმელობა

3.1.1. სრჯ საკითხების ტაბუირება და ინფორმაციის ფლობა

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ **ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოზარდი გოგონების და ქალების ინფორმირება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებთან, ასევე სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით ძალიან დაბალია**. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას უჭირდა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე საუბარი, არ ქონდა ინფორმაცია უფლებებზე ან რაიმე დოკუმენტზე, რომელიც ამ უფლებებს არეგულირებს.

ინფორმაციის სიმწირეს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, თუმცა მთავარი მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხის ტაბუირებაა. კვლევის მონაწილეების თანახმად, **საზოგადოებაში არ არის მიღებული ზოგადად სექსუალობაზე, მით უმეტეს ქალის სექსუალობაზე საუბარი.** აღნიშნული თემებით დაინტერესება და მხოლოდ კითხვის დასმაც კი შესაძლოა გოგონებისა და ქალებისათვის გაკიცხვის ან სტიგმის მიზეზი გახდეს.

> *„ყოველთვის თუ განსხვავებული აზრი გაქვს ხალხის დამოკიდებულება შენდამი იცვლება, თუნდაც ამ თემებზე ხალხში რომ ისაუბრო სექსუალურ ცხოვრებაზე ყოველთვის გაკრიტიკებენ იმიტომ რომ ყველასთვის მიუღებელია“.*
>
> ***[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ ზოგიერთ საკითხზე, რომელზეც ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებში და სოფლებში მცხოვრებ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს ინფორმაცია აქვთ, მათი ცოდნები მხოლოდ ზედაპირული და არასრულია. **ორივე ასაკობრივ სამიზნე ჯგუფში ყველაზე მეტი ინფორმაცია მენსტრუალურ ციკლზე და შვილოსნობაზე აქვთ,** თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მათი ცოდნა მხოლოდ მენსტრუაციის ფაქტს ეხება და არ აქვთ რაიმე დამატებითი ცოდნები.

მწირია ინფორმაციის მიღების არხებიც - არ არის მიღებული ოჯახში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვა, არ მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში ან სამედიცინო დაწესებულებებში, რის გამოც ინფორმაციის ძირითად არხად ერთმანეთში საუბარი ან ინფორმაციის ინტერნეტში მოძიება სახელდება. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად ერიდებათ ექიმებთანაც საუბარი, განსაკუთრებით თუ ეხება არა რეპროდუქციას, არამედ სექსუალურ ცხოვრებას ან სექსუალურ ჯანმრთელობას, მაგალითად ვერ მიმართავენ ექიმს სექსუალური დისფუნქციის მკურმალობის ან აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მიღების მოთხოვნით.

ერთის მხრივ ინფორმაციის სიმწირის, ხოლო მეორეს მხრივ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ტაბუირების გამო, კვლევაში მონაწილე მოზარდ გოგონებს და ფერტილური ასაკის ქალებს:

- → უჭირდათ დაესახელებინათ საკითხები, რომლებსაც სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიაზრებს;
- → ხშირ შემთხვევაში ერიდებოდათ აღნიშნულ საკითხებზე საუბარი ფოკუსური ჯგუფური დისკუსიების მიმდინარეობის დროსაც;

„ხან გოგონებს არ შეუძლიათ ასეთ თემებზე ლაპარაკი მშობლებთანაც კი და სირცხვილის გრძნობა აქვთ“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მრცხვენია ეგეთ რაღაცეებზე ლაპარაკი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

ვინ მუშაობს რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობაზე

კვლევის მონაწილეების აღქმით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები პირველ რიგში გინეკოლოგს ეხება. ზოგადად, როგორც სექსუალური, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაღებად კვლევის მონაწილეები პირველ რიგში გინეკოლოგთან კონსულტაციას განიხილავენ და ნაკლებად აქვთ წარმოდგენა სხვა ვინ შეიძლება იყოს ჩართული.

ერთეულ შემთხვევაში, ასევე დასახელდა:

- → რეპროდუქტოლოგი
- → მამოლოგი
- → ნერვოპათოლოგი
- → ოჯახის ექიმი

კვლევის შედეგად ასევე ვლინდება, რომ ზოგიერთის აღქმით უშვილობის პრობლემას გინეკოლოგის გარდა შესაძლოა შველოდეს:

- → ფსიქოლოგი / ფსიქიატრი
- → მღვდელი / მამაო

„ფსიქოლოგი ზოგს დაორსულებაზე ეხმარება. ბევრისგან გამიგია“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

3.1.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რეპროდუქციული ქცევა

კვლევის თანახმად, **რეპროდუქციული ჯანმრთელობა შედარებით ბუნდოვანი ტერმინია და ძირითადად მხოლოდ ქალის ჯანმრთელობასთან ან შვილოსნობასთან ასოცირდება.** აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა მოზარდი გოგონების და ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში. თუმცა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების დასახელება უჭირდათ ფერტილური ასაკის ქალებსაც.

„რაც ქალს შეეხება იმასთან დაკავშირებით როგორც ფიზიკური, ისე სექსუალური, ფსიქოლოგიური.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილი, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში ასევე მოიაზრებდა:

- → მკერდის და საშვილოსნოს სკრინინგს / ონკოლოგიურ დაავადებებს;
- → რიგ შემთხვევაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებად დასახელდა: სექსუალური შეუთავსებლობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;

„უფრო ქალის პრობლემები. თუნდაც მკერდი, გინეკოლოგიური, საშვილოსნოს დავაადებები, ონკოლოგიური.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ვთქვათ ძუძუს კიბოს რომ კონტროლზე წახვიდე. გადაიმოწმო ზოგადად თავი. თავდაცვაში იგულისხმება.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

როგორც აღვნიშნეთ, მოზარდი და ახალგაზრდა გოგონების შემთხვევაში ტერმინი ძირითად შემთხვევაში გაუგებარია, ამასთან, რეპროდუქციული ჯანმრთელობა მხოლოდ ქალთან ასოცირდება და გოგონების აზრით, მოიაზრებს:

- → გარდატეხის ასაკი და ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები - გარდატეხის ასაკთან დაკავშირებით, ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, მოზარდი გოგონებისთვის აქტუალური საკითხია სახეზე გამონაყარი და მისი მკურნალობა;
- → სასქესო ორგანოები და მათი ჯანმრთელობა;
- → სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;
- → შვილოსნობასთან ან უშვილობასთან დაკავშირებული საკითხები.

„უსაფრთხოების დაცვა დაავადებებისგან. თავი რომ ავარიდოთ სხვა და სხვა დაავადებებს წესების დაცვით”.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„უშვილობასთან დაკავშირებული საკითხები შედის“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„გამიგია ეს სიტყვა და უფრო ქალი მახსოვს, ქალის საშვილოსნოზე იყო საუბარი მგონი“.
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„გამონაყარი ძალიან ისეთია, ბევრ თინეიჯერს აქვს მაგის პრობლემა, ძალიან ბევრი ჭორი ვრცელდება ეს და ეს მაზი კარგი არისო და რეალურად მერე უფრო აყრით“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

ერთეულ შემთხვევაში მოზარდების ჯგუფებში გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებებიც. კვლევის მონაწილეთა აზრით, რეპროდუქციული ჯანმრთელობა ნიშნავს ჯანსაღ კვებას, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ადამიანის შინაგან ორგანოებთან დაკავშირებულ საკითხებს.

3.1.3. სექსუალური ჯანმრთელობა და სექსუალური ქცევა

სექსუალური ჯანმრთელობის და სექსუალური ქცევის შესახებ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას უჭირდა საუბარი, განსაკუთრებით მოზარდების და ახალგაზრდა ქალების ჯგუფებში.

ფერტილური ასაკის მქონე ქალების აღქმით, სექსუალური ჯანმრთელობა მოიცავს:

- → სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების კონტროლი / მკურნალობა;
- → სქესობრივი კავშირი (ერთეულ შემთხვევაში დაასახელეს); თუმცა, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ქალს და კაცს შორის ურთიერთობას გულისხმობდნენ;

აღნიშნული საკითხები რესპონდენტების თანახმად სექსოლოგს ეხება, თუმცა, ასევე აღნიშნავდნენ, რომ სექსუალობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში შესაძლოა გინეკოლოგსაც მიმართო. რესპონდენტების დიდი ნაწილის თანახმად, თავად მოერიდება გინეკოლოგთან სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი - მაგალითად, ვერ მივა სექსუალური დისფუნქციის პრობლემით / სამკურნალოდ.

> *„სქესობრივი გადამდები დაავადებები, ვენერიული დაავადებები“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***
>
> *„იგივე იმ შიდსისგან და დაავადებებისგან დაცვა“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***
>
> *„არ ვიცი ალბათ ჯანსაღი სექსი, არა გაუკუღმართებული“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე მოზარდ გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს, მათი აღქმით, სექსუალური ჯანმრთელობა და სექსუალური ქცევა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- → ზოგადად, ქალის ორგანოების ჩამოყალიბება და ჯანმრთელობა;
- → მენსტრუალური ციკლი;
- → სექსუალური კავშირები (თუმცა, მხოლოდ მოდერატორის მიერ საკითხების ჩამოთვლისას ადასტურებდნენ, და არ ახსენებდნენ თავად).

> *„ადამიანის სექსუალური ჯანმრთელობა, მისი ჩამოყალიბება ამ მხრივ, წესრიგში აქვს თუ არა ორგანოები“.*
> ***[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

3.2. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანრთმელობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ **საზღვრისპირა სოფლებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ გოგონებსა და ქალებს თითქმის არ მიეწოდება ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ.** მოზარდი გოგონებისა და ქალებისთვის ინფორმაციის მიღების ბარიერს საზოგადოების მხრიდან ქალების და გოგონების მიმართ გავრცელებული სტერეოტიპები წარმოადგენს. **საზოგადოებაში, სადაც ახალგაზრდა ქალების ქორწინების გარეშე**

სექსუალური კავშირები მიუღებელია, ვერ ხედავენ გოგონებისთვის ქორწინებამდე სექსუალურ ან რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას.

მეორეს მხრივ, კვლევაში მონაწილე ქალები აღნიშნავდნენ, რომ სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, გარემოში სადაც სხვა მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემებია, ნაკლებად რელევანტურად მიიჩნევა და ხშირად **ინტერესი არც ქალების მხრიდან არის.**

> *„მე მგონი მაგ საქმისთვის არავინ იცლის იმდენი პრობლემაა. ყველაზე უკან არის გადაწეული რომელიც თავში უნდა იყოს, მაგრამ იცით რა თითქოს პირად საქმეს არავისთან არ გაარჩევ“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველ წყაროდ სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალი, მაგალითად უბნის ექიმი ან ექთანი სახელდება. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში თავად პირველ რიგში გინეკოლოგს მიმართავენ.

მეგობრებისგან ინფორმაციის მიღება

თვისებრივი კვლევით ირკვევა, რომ საზღვრისპირა ქალაქებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრები **მოზარდი გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო მეგობრებია.** კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის საინტერესო საკითხებს როგორც წესი მეგობრების წრეში განიხილავენ, ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას რომელიც გარკვეულ საკითხებზე აქვთ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **მეგობრებისგან მიღებული ინფორმაცია სანდოდაც არის მიჩნეული,** განსაკუთრებით მოზარდი გოგონების შემთხვევაში.

> *„გოგოები მაინც ერთმანეთთან, ვიღაცამ მეტი იცის, ვიღაცამ ნაკლები, ერთმანეთთან აქვთ ურთიერთობა”.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***
>
> *„გარედან უფრო მეტ ინფორმაციას იგებენ, ვიდრე ოჯახში”.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***
>
> *„იმიტომ ვეკითხებით რომ ვიცით ნამდვილად ეცოდინებოდა“.*
> ***[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლებსაც მიაჩნიათ, რომ უკეთესია მოზარდი ინფორმაციას თანატოლებისგან იგებდეს, ვინაიდან, მოზარდებს უფრო მეტად ესმით ერთმანეთის ვიდრე მშობლების.

> *„მე მგონი ეგ უფრო სწორია, იმიტომ რომ თავისებური გაგება აქვთ თანატოლები რომ არიან სხვანაირად იგებენ“.*
> ***[მოზარდი გოგონები, წილკანი]***

ინტერნეტით ინფორმაციის მიღება

მეგობრებისგან ინფორმაციის მიღებასთან ერთად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ინტერნეტი დასახელდა. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ასევე ახსენეს სატელევიზიო გადაცემებიც.

კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების თქმით, ინტერნეტში დღეს თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაციას. უმეტეს შემთხვევაში სასურველ ინფორმაციას google-ში კითხვის ჩაწერით იძიებენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი გაწევრიანებული იყო Facebook-ში არსებულ ქალთა ჯგუფებშიც, სადაც ხშირად იდება კითხვები როგორც ჯანმრთელობასთან, ასევე ძალადობის და სექსუალური ქცევის შესახებაც. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია სანდოდაც მიიჩნევა - რესპონდენტების თანახმად, განსაკუთრებით ჯგუფებში პოსტების ქვეშ მრავალფეროვანი პასუხების წაკითხვაა შესაძლებელი, რაც ქალებს საშუალებას აძლევს გაარკვიონ რომელი პოზიციაა მათთვის მისაღების / სანდო.

„ინტერნეტის მეშვეობით ვიგებთ უფრო“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„ძირითადად საქსუალურ ურთიერთობებზე. კიდევ ბევრი პოსტი ოჯახში ჩემი ქმარი ესე ძალადობს და მირჩიეთ როგორ მოვიქცე“.
[მოზარდი გოგონები,ვერხვები]

„ითვალისწინებს სხვის აზრსაც და შენს წარმოდგენასაც ქმნი და უკვე გეცოდინება. დისკუსია მიდის ხოლმე და ესე მიდიან რაღაც სწორ გზამდე“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ზოგი არის ექიმის მიერ დაწერილი და ექიმი რომ დაწერს დაიჯერებ“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„გადაცემები არის ხოლმე ხშირად და თუ წავაწყდი ვუყურებ ხოლმე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონებიც, მეგობრებთან ერთად ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ინტერნეტს ასახელებენ. თუმცა, საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში მოზარდი გოგონების მიერ ინტერნეტის მოხმარებას მშობელი აკონტროლებს, რის გამოც, ნაკლებად სავარაუდოა რომ მოზარდებმა ინტერნეტში მათთვის სასურველი ინფორმაციის მოძიება თავისუფლად შეძლონ. მოზარდი გოგონებისთვის ინტერნეტთან წვდომის კონტროლს განაპირობებს შიში, რომ მოზარდი „ზედმეტ“ ან მისთვის შეუფერებელ ინფორმაციას ნახავს, ან შეძლებს ინტერნეტით ბიჭების გაცნობას, რაც მშობლებისთვის ცალსახად მიუღებელია.

„მე მირჩევნია დავგუგლო, ვიდრე დედას ვკითხო“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„უფროს გოგოსთან როცა ვიფიქრე კომპიუტერი შემეტანა საძინებელში რომ ჰქონოდა მერე დავაფიქსირე, უკნიდან ვიდექი ხოლმე და ისე ვუყურებდი რას აკეთებდა, რაღაცეები არ მომეწონა, უფრო სოწრად მივხვდი, რომ სასტუმრო ოთახში უკეთ ვაკონტროლებდი ამას და საძინელებში უნდა შევსულიყავი და მერე ისევ ისე ტექნიკურად გამოვიტანე სასტუმრო ოთახში“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მაგრამ მაინც ვაკონტროლებთ ზედმეტი არ მოუვიდეს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„სწორად მინდა ინფორმაცია რომ მიიღოს და არა ინტერნეტით რაღაცას წააწყდეს და აქედან გამომდინარე შეიძლება ცუდს ვიძახი მაგრამ მეტ-ნაკლებად ვუკონტროლებ. მაგალითად მეილი მაქვს მე რომელიც ჩაწერილი მაქვს ბავშვების ტელეფონში და იმ მეილით ვუკონტროლებ სად არიან შესულები მეილით ვიგებ და იციან ეს რომ მე შემიძლია ნებისმიერ დროს ვნახო რას აკეთებდნენ“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***

ზოგიერთ ადგილას, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების ბარიერს ინტერნეტთან წვდომის პრობლემა წარმოადგენს. ერგნეთში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით ირკვევა, რომ მიმდებარე სოფლებში ხშირად არის ინტერნეტის პრობლემა, რის გამოც უწევთ ტელეფონის ინტერნეტით სარგებლობა. ცხადია ტელეფონი და ტელეფონის ინტერნეტი მაცხოვრებლების ნაწილისთვის, განსაკუთრებით მოზარდებისთვის რიგ შემთხვევაში მიუწვდომელია.

„ინტერნეტი არ გვაქვს სოფელში. ინტერნეტიზაცია არ არის. პატარა პროვაიდერები რომ არიან კერძოდ შეყვანილი, ეგენი გვაქვს ჩვენ და ყველას არ აქვს“. ***[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

„ძირითადად ტელეფონის ინტერნეტი აქვთ ხოლმე“.
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

მშობლებისგან / ოჯახისგან ინფორმაციის მიღება

ერთეულ შემთხვევაში, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ გათხოვილი / უფროსი და დასახელდა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული საკითხების განხილვა ოჯახის წევრებთან ნაკლებად ხდება.

„ჩემი და არის ჩემზე წინ გათხოვილი და ის უფრო მაკვალიანებს ხოლმე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

მოზარდ გოგონებს როგორც წესი მხოლოდ დედა ესაუბრება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

→ ძირითადად, დედა ინფორმაციას მხოლოდ გარდატეხის ასაკთან დაკავშირებით და მენსტრუალურ ციკლზე აწვდის. ამასთან, დედების მიერ მიწოდებული ინფორმაცია როგორც

წესი ზედაპირულია და მხოლოდ მენსტრუაციის დაწყების ფაქტს ეხება უშუალოდ იმ დროს, როცა გოგონა გარდატეხის ასაკში შედის;

- იშვიათ შემთხვევაში აღინიშნა, რომ მოზარდ გოგონებთან უსაუბრიათ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც;
- თითქმის არ საუბრობენ გოგონებთან სექსუალურ ქცევაზე ან სექსუალურ ცხოვრებაზე;
- კვლევაში მონაწილე ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ მათაც სჭირდებათ ინფორმაცია ჰიგიენასთან და მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებით, იმისთვის, რომ შეძლონ ამ ინფორმაციის შვილებისთვის სწორად გადაცემა.

„არასწორი ინფორმაცია რომ არ მიიღოს ბავშვმა გარედან სჯობს მშობელი დაელაპარაკოს, ის ვერ აღიქვამს როგორც საჭიროა და რაღაცას სხვანაირად გაიგებს. მაგრამ დახმარება დასჭირდეს მშობელს როგორ მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჩემი არის 11 წლის და ციკლის დროა, ერთხელ ვუთხარი საფენი რისთვის გვინდა ქალებს და გაეცინა. მერე ვუთხარი ეს ყველა ქალს სჭირდება, ქალების წესია და შენც დაგჭირდება. მე უფროსი და მყავდა და მე არ მიტირია, მაგრამ ხომ გაგვიგია დაიწყო ვიღაცამ ტირილი და მეთქი ესე იქნება, არ შეგეშინდეს".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

*„ძალიან მშრალი ინფორმაცია მაქვს მიწვდილი იმ დონეზე რომ არც დამეინტერესებინა და მთლად ისეც არ მინდა რომ მაინც გაიგებს მეგობრებისგან". **[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***

„არის ისეც რომ გოგონა თუ არის იმ ასაკში უკვე მშობელი ეუბნება რომ ასე თუ მოხდა არ შეგეშინდეს. ეს არ არის ცუდი.მაგრამ ზოგჯერ ისეთი სასირცხვილო თემა შეიძლება იყოს, რომ დისკომფორტი შეიძლება გქონდეს. მე დედაჩემი რომ დამელაპარაკოს დიდი დისკომფორტი მაქვს".
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მე თავიდანვე ვიცოდი გოგონებს ციკლი ჰქონდათ და შემდეგ დედასთან მივედი და ვკითხე მე როდის დამეწყებოდა მომზადებული რომ ვყოფილიყავი".
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

მშობლებთან სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დკავშირებით საუბრის მთავარ ბარიერს უხერხულობის შეგრძნება წარმოადგენს, რომელიც უჩნდებათ როგორც მშობლებს, ასევე შვილებსაც. თუმცა, უხერხულობის გარდა, ხშირ შემთხვევაში **თავად დედებსაც არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია** და მიუხედავად იმის, რომ ხედავენ ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას, არ იციან როგორ შეიძლება შვილებთან აღნიშნულ საკითხებზე საუბარი.

"რცხვენიათ, ტაბუდადებულია ეს თემა".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

"ჩვენ გვერიდება. ჩვენთვის ეს იყო ტაბუ დადებული თემა".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„10 წლის ბავშვს რომ მოუვა როგორ უნდა ესაუბრო ამ თემაზე? როგორ უნდა მოუყვე?".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ჩემი გამოცდილებიდან ვიტყვი რომ არ არის ესე ადვილი, რომ შენ გოგო შვილს ელაპარაკო, ძალიან რთულია. ადვილი არ არის. ამ ფაქტის წინაშე შენ რომ დგები".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

სკოლა

კვლევის მონაწილე მშობლების / ქალების ნაწილი ემხრობოდა სკოლაში სექსუალური და რეპროდუქციული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ასაკისთვის შესაფერისი იქნება და უფრო მეტად გარდატეხის ასაკს, ჰიგიენას და მენსტრუალურ ციკლს შეეხება. **ნაკლებად უჭერენ მხარს სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოზარდი გოგონებისთვის მიწოდებას.** ასევე, მიაჩნდათ, რომ სკოლაში აღნიშნული საკითხები ბიჭებს და გოგონებს ცალცალკე უნდა უტარდებოდეთ. აღსანიშნავია, რომ თავად მოზარდი გოგონებიც უპირატესობას გაკვეთილების გოგონები და ბიჭებისთვის ცალცალკე ჩატარებას ანიჭებებ, ვინაიდან, ეშინიათ ბიჭების მხრიდან კრიტიკისა და დაცინვის.

„მე ვფიქრობ ან სკოლაში უნდა შედიოდნენ და გოგოებს ტოვებდნენ ცალკე სადაც აუხსნიან პროფესიონალურად რათქმაუნდა. ჩვენ ავუხსნით, მაგრამ საკმარისი ცოდნა უნდა გვქონდეს ჩვენც რომ მივაწოდოთ ეს ინფორმაცია. აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა სკოლაში შესვლა და გასაუბრება".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ჩემთანაც იყო მასე, ბიჭებს არ მოწონდათ. აგდებულად უყურებდნენ და სულ იცინოდნენ".
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

თვისებრივი კვლევის თანახმად, **დღეს, სკოლებში ინფორმაცია მოზარდ გოგონებს ნაკლებად მიეწოდებათ:**

- → კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მათმა მასწავლებელმა საერთოდ გამოტოვა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, ან დავალება გაკვეთილის აუხსნელად მისცა (სთხოვა თავად წაეკითხათ სახლში);
- → იშვიათად, მასწავლებელმა გოგონებს და ბიჭებს ცალცალკე ჩაუტარა გაკვეთილი, თუმცა გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების აღქმით სკოლაში ერთჯერადად მიწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია;
- → მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში აღნიშნეს, რომ სკოლაში დაურიგდათ გარდატეხის ასაკთან და მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტები;

→ ასევე ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ყავთ სკოლის ფსიქოლოგი რომელთანაც შეიძლება მსგავს საკითხებზე საუბარი. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლის ფსიქოლოგთანაც შესაძლებელია საუბარი კვლევაში მონაწილე გოგონების დიდ ნაწილს არ ქონია.

*"გადაახტა მასწავლებელი და გაუცრუვდათ ბავშვებს იმედი, ისე კარგად მახსოვს". **[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

*„ზოგი პედაგოგი ეტყვის რომ თქვენ წაიკითხეთ, გადახედეთ". **[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

„ჩემს სკოლაში იყო ორი მასწავლებელი. ერთ-ერთი მასწავლებელი ახტებოდა ამ თემას". [მოზარდი გოგონები, წეროვანი]

*„ჩემი აზრით ბავშვებმა არ იციან რომ სკოლის ფსიქოლოგთან შეიძლება მისვლა და რაღაცის კითხვა". **[მოზარდი გოგონები, წეროვანი]***

*„ამას ზოგადად სკოლაშიც ვსწავლობთ ხოლმე, მაგრამ არ გვასწავლიან სიღრმისეულად. ერთხელ სწავლობ და იმასაც ვერ იღებ სიღმისეულად". **[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

*„კი, ჩვენ კარგი დამრიგებელი გვყავს და ესეთ თემებზე ხშირად გველაპარაკება". **[მოზარდი გოგონები, ვერხვები]***

*„ბროშურები რომ მოგვცეს, მერე დამრიგებელმა გვითხრა ბიჭებს არ დაანახოთ". **[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]***

არასამთავრობო ორგანიზაციები

მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში (წეროვანი) ახსენეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრეინინგები, სადაც ინფორმაცია მიიღეს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, რესპონდენტების განცხადებით, ასეთ ტრეინინგებზე საზოგადოების მხრიდან დაინტერესება ძალიან დაბალია და როგორც წესი ერთიდაიგივე ადამიანების მცირე ჯგუფი ესწრება.

*„წინა წელსაც იყვნენ ამ თემასთან დაკავშირებით, წელსაც იყვნენ. გვაწვდიან ისეთ ინფორმაციას ტრენინგების სახით რომ რაც შეი **[მოზარდი გოგონები, წეროვანი]***

*„არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ გენდერულ უფლებებზე, მაგრამ დაინტეებაა ძალიან ნაკლები". **[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

*„ძირითადად მარტო ჩვენ ვესწრებით ხოლმე". **[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

*„არ არის დიდად საინტერესო, სანამ პრობლემას არ წააწყდებიან უშუალოდ". **[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

3.3. ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები

3.3.1. ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში არსებული ძალადობრივი გარემო და სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევა

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოზარდი გოგონებისა და ქალების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები ხშირად ირღვევა. ქალების უფლებების რღვევას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორისაა:

1) საზოგადოების მიერ აღქმული ქალის როლი და ფუნქციები
2) საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები
3) საზოგადოებაში ქალების კონტროლის და უფლებების შეზღუდვის ნორმალიზება
4) აღნიშნულ რეგიონებში არსებული ძალადობრივი გარემო.

ამასთან, ძალადობას უმეტეს შემთხვევაში გენდერული ხასიათი აქვს და სხვადასხვა ფორმით გამოხატული ძალადობის მსხვერპლი ძირითადად ქალია. თუმცა, კვლევაში მონაწილე ქალები აცხადებდნენ, რომ სოციალური ფონის და სხვა პრობლემების გამო, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას ქალებს ხშირად არც უსმენენ, ან საზოგადოება ამ პრობლემებს სერიოზულად არ იღებს - მაგალითად, თუ საუბარია არა ძალადობის მძიმე ფორმებზე, არამედ უბრალოდ ფუნქციების განაწილებაზე ოჯახში

"გარშემო იქმდენი პრობლემაა, რომ რო დაილაპარაკო შეიძლება ვიღაცამ შეიძლება არც მოგისმინოს".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

"იტყვის ამას გაურეკია რაზე მელაპარაკებაო. იმიტომ, რომ უკანა პლანზე არის გადასული".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

"ეგ რა სალაპარაკო არისო ზოგი მაგას იტყვის".
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

3.3.1.1. ქალის როლისა და ფუნქციის აღქმა

თვისებრივი კვლევის თანახმად ვლინდება, რომ საზღვრისპირა დასახლებებში მოზარდი გოგონები და ქალები განიცდიან სოციალურ წნეხს მოერგონ ქალის მკაცრად განსაზღვრულ როლს და ჩარჩოებს. გამოკითხული მოზარდი გოგონების და ფერტილური ასაკის ქალების უმრავლესობა საუბრობდა ქალის მიმართ საზოგადოების მოლოდინებზე და მკაცრად განსაზღვრულ როლზე: გათხოვდეს, გააჩინოს შვილი, იზრუნოს ოჯახზე (რაშიც მოიაზრება როგორც საოჯახო საქმეები, ასევე ბავშვების აღზრდა და ქმარზე ზრუნვა).

ქალის მთავარ ფუნქციად ოჯახის შექმნა, შვილების გაჩენა შემდეგ კი შვილების და ქმრის მოვლა, ასევე საოჯახო საქმეების შესრულება მიიჩნევა. ამასთან, გოგონებს როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოების მხრიდან ზეწოლის გამო, ეზღუდებათ უფლება თავად აირჩიონ ოჯახის შექმნის დრო, თავად გადაწყვიტონ როდის ან რამდენი შვილი ეყოლებათ და ა.შ.

ქალის ფუნქციისა და როლის სწავლება ბავშვების აღზრდის პროცესიდან იღებს სათავეს. კვლევის თანახმად, გოგონებს და ბიჭებს ოჯახში განსხვავებულად ექცევიან:

- მშობლები ბიჭებს უფრო მეტად ათამამებენ, მეტის უფლებას აძლევენ - მაგალითად, ბიჭს აქვს უფლება სახლში გვიან მოვიდეს, გასართობად მარტო წავიდეს, თუმცა, იგივე უფლებით ვერ სარგებლობენ გოგონები, რომლებიც სახლში აუცილებლად უნდა იყვნენ დათქმულ დროს, არ აქვთ უფლება მარტო გავიდნენ ღამე გასართობად და ა.შ.;
- მხოლოდ გოგონებს ევალებათ საოჯახო საქმეებში დახმარება, პატარა და-ძმის აღზრდაში მონაწილეობის მიღება. კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები იხსენებდნენ შემთხვევებს, როდესაც მათი კლასელი გოგო სკოლას აცდენდა, იმის გამო რომ დედას საოჯახო საქმეებსა და და-ძმის გაზრდაში მიხმარებოდა;
- ბიჭების პასუხისმგებლობად ოჯახის წევრი გოგოების „მიხედვა“ და მათი კონტროლი მოიაზრება;
- ძირითად შემთხვევაში, ოჯახის ქონება მხოლოდ ბიჭის საკუთრებად განიხილება.

„თუმცა არის რომ ანსხვავებენ, ბიჭებს მეტად ათამამებენ, ვიდრე გოგოებს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მეტი უფლებები აქვს ბიჭებს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

”ოჯახის მემკვიდრე მაინც ბიჭია”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

”ბიჭი გვარის გამგრძელებელია და რას ლაპარაკობ, ბიჭი ყველაფერი იყო ოჯახში შვილიშვილი და გოგოები არაფერი. ახლაც არსებობს ასეთი რაღაც. რას ამბობ, გოგო გყავს და ბიჭი უნდა გააჩინო, ბიჭია ოჯახშიო”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ბებიაჩემმა იცის ხოლმე უფრო უუფროსი რომ ხარ შენს პატარა და-ძმას საჭმელი უნდა დასხა და ეგეთი რაღაცეები, მაგიდა უნდა აულაგო“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ჩემთან ჩემს ძმას ავალებენ ხოლმე, დედაჩემი ურეკავს ხოლმე მიაქციე ყურადღება პატარა დას და ნერვები მეშლება“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ქონებაზეც რომ არის ხოლმე ბიჭს რომ უნდა მისცენ და გოგოს არა“.
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„გოგო ხარ უნდა დაალაგო, უნდა დარეცხო. სახლს უნდა მიაქციო ყურადღება“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„მაგალითად ჩემი კლასელი იყო აცდენდა სკოლას, დედამისი საოჯახო საქმეებს აკეთებინებდა, ძალიან ხშირად არ იყო სკოლაში. მასწავლებელი არ ეხვეწებოდა არ დადისო, შემდეგ სამინისტრო მივიდა და მას მერე აღარ გაუცდენია.“
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

თავად კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები, რომლებსაც შვილები ჰყავდათ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდნენ.

- მათი ნაწილის თანახმად, ბიჭის პრივილეგირებული პოზიცია და გოგოების მეტი კონტროლი ბუნებრივი და მისაღებია;
- ნაწილი კი აღნიშნავდა, რომ ვერ ამჩნევს მისი / მისი ოჯახის მხრიდან ბიჭი და გოგო შვილების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

A. ოჯახის შექმნა - „ახალგაზრდა ქალი უნდა გათხოვდეს“, „ჩაბარდეს პატრონს“

ახალგაზრდა ქალების ადრეულ ასაკში გათხოვება, ქალების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ადრეულ ასაკში გათხოვების შემდეგ, ქალების დიდი ნაწილი ვერ იღებს სრულყოფილ განათლებას, რიგ შემთხვევაში უზღუდავენ მუშაობის უფლებას, უწევთ ოჯახის და შვილების აღზრდით დაკავება, რაც ბუნებრივია ქალს ქმარზე / ქმრის ოჯახზე დამოკიდებულს ხდის.

> *„ეს გოგოები არ არიან დამოუკიდებლები, არ აქვთ სამსახური, არ აქვთ საქმე, უნდა გათხოვდეს ე. ი. ბავშვი გააჩინოს და რა უნდა აკეთოს სხვა“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

თვისებრივი კვლევის თანახმად, საზღვრისპირა სოფლებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალებს საკმაოდ ადრეულ ასაკში აქვთ ოჯახის შექმნის წნეხი. მიუხედავად იმის, რომ არასრულწლოვან გოგონათა დაოჯახების მხრივ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, ახალგაზრდა ქალებს მაინც საკმაოდ ადრე მოუწოდებენ დაოჯახებისკენ. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ 22-23 წლის ასაკიდან გოგოები უკვე როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოების მხრიდან გრძნობენ მუდმივ ზეწოლას:

- გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა ქალებს მუდმივად ეკითხებიან როდის აპირებს დაოჯახებას, გარკვეული ასაკის მერე მათ არასრულფასოვნებად / არასრულყოფილებად მიიჩნევენ - „არავის მოსწონს“, „არავის უნდა მისი ცოლად მოყვანა“, „ვერ გათხოვდა“. კვლევაში მონაწილე ქალები აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული დამოკიდებულება თავად მათაც აფიქრებინებთ, რომ თუ „ვერ გათხოვდნენ“ პრობლემა მათშია;
- აღსანიშნავია, რომ იგივე დამოკიდებულება ნაკლებად ვრცელდება კაცებზე და პირიქით, იმ შემთხვევაში თუ კაცი არ დაოჯახდება, როგორც წესი ამ საკითხზე ან უბრალოდ ხუმრობენ, ან მიიჩნევენ რომ მას ჯერ არ უპოვნია ქალი რომელიც მოეწონება - „მისი მოსაწონი არავინაა“.

მშობლებიდანაც მოდის, პატრონს ჩავაბარო, დავასვენო.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ძალიან პატარები თხოვდებოდნენ და ეხლა ცოტათი წავიწიეთ“.
ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„მერე ძალაუნებურად გიყალიბდება აზრი, რომ რაღაც პრობლემა მე მაქვს ეტყობა.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჯერ არ გათხოვდი? გამარჯობა როგორ ხარ, კარგად, არ გათხოვდი?“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჩემი და 22 წლისაა, სწავლობს საზღვარგარეთ და პაპიდაჩემი ეუბნება რომ უკვე დაბერდა“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„ცოტა რაღაც პრობლემა აქვს ეტყობა რომ ვერ გათხოვდა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჩემი ძმის შესაფერისი არ დაბადებულაო ეტყობა, 49 და 50 წლის არის და ჯერ არ დაბადებულა ასეთი რომ ცოლად მოიყვანოსო. ხდება, რომ ვიღაცის თვალში ასეა“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

B. დაოჯახებისთანავე შვილის გაჩენის მოლოდინი - „ქალი იმიტომ თხოვდება, რომ შვილი გააჩინოს“

თვისებრივ კვლევაში მონაწილე გოგონები და ქალები საუბრობდნენ ქალების მიმართ მოთხოვნაზე აუცილებლად გააჩინონ შვილი. ქალებს, რომლებსაც შვილის გაჩენა რაიმე მიზეზით არ სურთ, ან უბრალოდ არ შეუძლიათ, მუდმივად უწევთ თავის მართლება, კითხვებზე პასუხი, როგორც მათი ახლობლების, ასევე უცხო ადამიანების მხრიდან. თუმცა, ასევე საგულისხმოა, რომ ზეწოლა არის არა მხოლოდ შვილის აუცილებლად გაჩენაზე, არამედ კონტროლდება შვილების რაოდენობა, გაჩენის დრო, მათი სქესი და ა.შ. რიგ შემთხვევაში საუბრობდნენ ბიჭის / გვარის გამგრძელებლის გაჩენის აუცილებლობაზეც.

„საზოგადოების მხრივ თუ თხოვდები არ უნდა თქვა შვილი არ მინდა ან ამდენი ხნის მერე მინდა“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„გათხოვება და შვილის ყოლა ერთად ასოცირდება. თუ გათხოვდი აუცილებლად უნდა გყავდეს შვილი“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„დღემდე არსებობს და ეგ მოთხოვნაა ქალი იმიტომ თხოვდება რომ აუცილებლად შვილი უნდა ჰყავდეს. ყველგან არის.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ზოგჯერ რომ უგვიანდებათ 2-3 წელი რომ არ უჩნდებათ, რატომ არ უჩნდებათ, რამე პრობლემა ხომ არ არის. იქნებ იმას არ უნდა ესე მალე რომ ბავშვი ჰყავდეს. რომ გათხოვდება 1 თვე არ არის გასული და უკვე კითხულობენ ორსულად არ არის?“
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ზოგჯერ ისეთ უცხო ადამიანს უკითხავს, რომ ჩემი ოჯახის წევრი ვერ მიბედავდა კითხვას. ისეთ უცხო ადამიანს უკითხავს, რომ ყველა ის ადამიანი მეჯავრება, ყველა მახსოვს სახელით, გვარით და ყველა მეჯავრება ის ადამიანი ესეთი უტაქტო შეკითხვა ვინც დამისვა, სულ ყველა ჩემს თვალწინ დგას დღესაც.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„იგივე ვარიანტი, რომ როცა 5 შვილი გყავს მაინც ლაპარაკობენ ვაიმე რამდენი შვილი გაუჩენია ვერ აცმევს, ვერ აჭმევს და ა. შ. ერთს გააჩენ და ვაიმე რა არის 1 შვილზე. თუ არ გააჩენ და საერთოდ წყალწაღებული ხარ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ბიჭი მინდა, ბიჭი გამიჩინე. რატომღაც ესე მიაჩნიათ რომ ბიჭი აუცილებელია“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„არის შემთხვევები როცა აჩენინებენ, მეუღლის მხრიდან არის რომ კიდევ კიდევ კიდევ და მე მგონი ეგეც ქალის უფლებაა რომ არ გააჩინოს და დაიცვას თავი.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

კითხვები „ორსულად არ ხარ?“, „ რატომ არ აჩენ?“ ბუნებრივია ყველა ქალისთვის შემაწუხებელი ხდება, თუმცა, განსაკუთრებით მძიმეა იმ შემთხვევაში თუ ქალს შვილი რაიმე მიზეზით დიდი ხნის მანძილზე არ უჩნდება. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები, რომლებსაც შვილი დიდი ხანი არ უჩნდებოდათ, აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად ჰქონდათ დანაშაულის ან სირცხვილის შეგრძნება, უჩნდებოდათ თავის მართლების სურვილი.

„კი თითქოს სირცხვილის გრძნობაც იყო ქალი რომ თხოვდება მაშინვე ჰყავს და ზოგს კიდევ და მე მითუმეტეს მაშინვე პრობლემები მქონდა, რომ შეიძლება ოპერაცია დამჭირდეს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე პირადად დიდი გამოცდილება მაქვს მაგ მხრივ 9 წელი არ მყავდა და ჯერ ის იყო განხილვის საკითხი რატომ არ მყავდა. მერე უკვე ისეთნაირად წლებს თავისი მოაქვს, ისეთი პასუხი ჩამომიყალიბდა რომ ჯერ არ მინდა, თითქოს თავს ვიცავდი ამ პასუხით, იყო მომენტი რომ უარეს ვაკეთებდი ამ პასუხით უფრო ჩაძიება ხდებოდა. ეხლა უკვე მეოთხე წელშია და აბა მეორეც. იმ გზას არავინ არ უყურებს და არ ინტერესდება მე რატომ შეიძლება არ მყავდეს მეორე. მაგალითად არის შიში რომ იმ გზის ხელახლა გავლა მეშინია. თუნდაც იმ 9 თვის, იმიტომ რომ იყო ძალიან დიდი პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„კი, რო გათხოვდები აუცილებელია რომ გყავდეს, კი უფლებების დარღვევაა ეგ“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***

ასევე აღსანიშნავია, რომ ნაკლებად მისაღებია ქალმა უარი თქვას შვილის გაჩენაზე და გაიკეთოს სტერილიზაცია. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალებსაც მიაჩნდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ქალმა აუცილებლად ქმართან შეთანხმებით უნდა მიიღოს.

C. “შვილების აღზრდა მხოლოდ დედის პასუხისმგებლობაა“

როგორც ზრუნვა, ასევე ბავშვების აღზრდა მხოლოდ დედის პასუხისმგებლობად მიიჩნევა, ამასთან, კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ ბავშვს აქებენ, ყოველთვის მამა მიიჩნევს თავის დამსახურებად, თუმცა, თუ შვილის საქციელი მოწონებას არ იმსახურებს, არასწორ აღზრდაში მხოლოდ დედას ადანაშაულებენ.

D. „საოჯახო საქმეების კეთება მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობაა - კაცი საუკეთესო შემთხვევაში ეხმარება“

შვილების აღზრდის მსგავსად, საოჯახო საქმეები (დასუფთავება, საკვების მომზადება და სხვა) მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობად არის მიჩნეული. საგულისხმოა, რომ საოჯახო საქმეები ქალის პასუხისმგებლობად მაშინაც მიიჩნევა, თუ ქალი ამავდროულად მუშაობს, ან თუ მხოლოდ ქალია ოჯახში დასაქმებული. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ, აღნიშნავდნენ, რომ თუ საოჯახო საქმეებს სამსახურთან ერთად ვერ მოასწრებენ, ისინი უარს სწორედ სამსახურზე იტყვიან.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კაცების მიერ საოჯახო საქმეების კეთება მათ სურვილზე ან შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, თუმცა, ქალის შემთხვევაში ეს აპრიორი მის ვალდებულებად მიიჩნევა. კვლევაში მონაწილე დაოჯახებული ქალები აღნიშნავდნენ, რომ მათ მეუღლეებს არ სურთ ან არ შეუძლიათ საოჯახო საქმეების კეთება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აკეთებენ (მაგალითად ქალის სახლში არყოფნის პერიოდში), ქალს მადლიერების შეგრძნება უჩნდება - დაეხმარნენ, მათი საქმე გააკეთეს.

”მე რო 10 -ზე გავდიოდი ღამის 10-ზე შემოვიდიოდი, დედამთილიც მყავს, მამამთილიც, მეუღლე 2 შვილი, მაგრამ ყველაფერს ვასწრებდი და რომ ვერ მომესწრო შეიძლება მეთქვა არა, მე არ შემიძლია სამსახური და უნდა ვიყო სახლში“.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„გარშემო ქალი საჭმელს აკეთებს და კაცი მუშაობს. უმეტესად ასე არის ხოლმე ოჯახებში, თვითონ ქალებიდან მომდინარეობს სახლში ყოფნა“.

[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

”მამაკაცი არც დარეცხავს და არც სახლს არ დაალაგებს”.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

3.3.1.2. გენდერული სტერეოტიპები და სტიგმები

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი გენდერული სტერეოტიპები და სტიგმები, რომლებიც აფერხებს ქალების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რეალიზებას.

„უშვილობა ქალის ბრალია“

კვლევის თანახმად, თუ დაოჯახებულ წყვილს გარკვეული პერიოდი შვილი არ უჩნდება, ეს ქალის „ბრალად“ ან „ქალის სირცხვილად“ მიიჩნევა. კვლევაში მონაწილე ქალები აღწერდნენ, რომ ქალი თავს დამნაშავედ გრძნობს, თუ რაიმე მიზეზით შვილს ვერ აჩენს, თუმცა, კაცის ექიმთან წასვლა და გამოკვლევა ასეთ შემთხვევებში ხშირად საერთოდ არ განიხილება. ერთეულ შემთხვევაში, ასევე აღინიშნა, რომ ქალს ბრალდება ისიც, თუ ოჯახში ბიჭი არ უჩნდებათ.

გარდა იმისა, რომ ქალი თავად გრძნობს თავს დამნაშავედ, იგი ხდება ბულინგის და შევიწროვების მსხვერპლი ოჯახის ან საზოგადოების მხრიდანაც. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ქალი სახლიდან გამოაგდეს, როდესაც მას შვილი არ უჩნდებოდა.

„ოჯახის დანგრევა, როცა ქალს არ უჩნდება არის პრობლემა, რომ მამაკაცი არ მიდის ექიმთან რომ თვითონ გაესინჯოს. ქართველებში არის ეს აზრი, რომ მაინც და მაინც ქალია დამნაშავე და არა მამაკაცი“.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მაგალითად ქალს როდესაც არ შეუძლია გაჩენა მისი უფლებები ირღვევა, სხვა და სხვანაირად აყენებენ შეურაცხყოფას და ესეც დასჯადი უნდა იყოს“

[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მაგალითად როდესაც არ შეუძლია შვილის გაჩენა მშობლების და ნათესავების მხრიდანაც ხშირად არის შეურაცხყოფის მიყენება როგორიც არის მისი გაჩერება არ შეიძლება ოჯახში, რადგან შვილის გაჩენა არ შეუძლია, ეს არ შეიძლება, ადამიანის უფლებები ირღვევა.“

[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„იცით რა დროს ირღვევა, მე ესე მიმაჩნია, ქალმა გააჩინა გოგო, ვითონ იმ ქალის ბრალია“.

[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

"კარგ დედას არ რჩება დრო თავისი თავისთვის"

კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში არსებობს სტერეოტიპი, რომ თუ კარგი დედა ხარ, საკუთარი თავის მოვლის, გართობის ან საკუთარი თავისთვის ნებისმიერი აქტივობის დრო არ უნდა დაგრჩეს. კვლევაში მონაწილე დაოჯახებული ქალები აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად უგრძვნიათ გაკიცხვა საზოგადოების მხრიდან რუჯის, გამოპრანჭვის ან რაიმე აქტივობის გამო - თუ კარგი დედა ხარ, საკუთარი თავისთვის დრო აღარ უნდა გრჩებოდეს. აღსანიშნავია, რომ შესაძლოა თავის მართლება ქალს შვილების წინაშეც კი უწევდეს.

„მაგალითად მე მყავს სამი შვილი, გოგომ მითხრა ეს ზაგარი საიდანო ვახერხებ მეთქი, თუ ცოტა სხვანაირად იქცევი თუნდაც სამი შვილის ფონზე უკვე ფიქრობენ რომ ვაფშე არ ხარ არც კარგი დედა, არც კარგი ცოლი. მე ვინც მიცნობს მე ხო ვიცი რასაც ვაკეთებ და როგორც ვაკეთებ".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„უფლება არა დრო არ უნდა გქონდეს რომ თავს მიხედო. რაც დავინახე ძალიან უკვირთ რანაირად, როგორ".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ბევრს უთქვამს მე 1 მყავს შენ როგორ ახერხებ. მე ღამეს გავათენებ და იმას გავაკეთებ რაც მინდა რომ ხვალვე მოვასწრო".
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ესე არის უნდა გქონდეს მოწესრიგებული სახლი, ეზო, ბავშვებიც და შენ უნდა იარო გაბურძგნული, გაწეწილი, ყველაზე დამაკმაყოფილებელი ეს არის შენი ეზოს გარეთ". ***[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***

„კაცია და გაგულავება უნდა"

კვლევის თანახმად, ქალის მხრიდან დაოჯახებამდე სექსუალური კავშირები, ან დაოჯახების შემდეგ ღალატი დიდ დანაშაულად მიიჩნევა. თუმცა, იგივე შემთხვევაში საზოგადოება ბევრად შემწყნარებელია კაცების მიმართ: 1) კაცებს თავისუფლად შეუძლიათ ქონდეთ ქორწინებამდე კავშირები, 2) კაცის მხრიდან ცოლის ღალატი ხშირ შემთხვევაში ასევე მართლდება კაცის ბუნებით - „კაცია და რა ქნას". თუმცა ღალატთან დაკავშირებით კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილი ზოგადად კრიტიკულად იყო განწყობილი და თანაბრად მიუღებლად მიაჩნდა როგორც კაცის, ასევე ქალის ღალატი.

„კაცს აქვს უფლება საცოლეც ჰყავდეს, საყვარელიც ჰყავდეს".
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„კაცი უფრო ჭკვიანია"

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ქალის ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებითაც - „კაცი უფრო ჭკვიანია". კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული დამოკიდებულება იგრძნობა როგორც მათ ოჯახებში, ასევე ხშირად სკოლაშიც. ერთის მხრივ, ოჯახში მოზარდი ბიჭებისგან მეტად აქვთ მოლოდინი კარგად ისწავლოს, რომ შეძლოს წარმატების მიღწევა, გოგოების ძირითად მიზნად კი გათხოვებას მოიაზრებენ. მეორეს მხრივ, კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები აღნიშნავენ, რომ სკოლაში

მოსწავლებლებიც ბიჭებს მეტად სთხოვენ სწავლას, გოგოების მიმართ კი შედარებით ნაკლებად მომთხოვნები არიან.

„ის კაცის ტვინი რომ 25 %-ით მეტად არის განვითარებული ვიდრე ქალის ესეც ხომ იცით?“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ბიჭები ახლა მეტად არიან სწავლაზე ორიენტირებულები ვიდრე გოგოები ესე ვფიქრობ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ბიჭს უფრო მეტ პასუხისმგებლობას სთხოვენ მასწავლებლები სკოლაში, ვიდრე გოგოებს და არ ვიცი რატომ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ქალის საქმე არ არის...“

კვლევის თანახმად, არსებობს მთელი რიგი აქტივობებისა, რაც ქალის საქმედ არ მიიჩნევა - მაგალითად შეშის დაჩეხვა, ფეხბურთის თამაში, ავტომობილის მართვა და ა.შ. აღნიშნული, გარკვეულწილად ქალების აღქმულ ფუნქციასთან არის დაკავშირებული იყოს მხოლოდ საოჯახო საქმეებით დაკავებული.

თუმცა, თავად ქალები აღნიშნავდნენ, რომ მათ ყველაფერის კეთება შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში. ასევე აღინიშნა, რომ შედარებით გაუმჯობესებულია მდგომარეობა ქალების მიერ ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით, თუმცა, დღესაც ქალის მიერ ავტომობილის მართვა ცუდ მძღოლობასთან ასოცირდება და საავტომობილო გზაზე დარღვევის შემთხვევაში ამბობენ „ქალია საჭესთან“.

”გავრცელებულიც არის და ყოველთვის იქნება, თუნდაც ქალი ამ საქმეს ვერ გააკეთებს, კაცი გააკეთებს, ეს არის და იქნება ყოველთვის”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

”შეშა რომ არის დასაჩეხი ქალი ვერ დაჩეხავს”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ისე კარგად დავჩეხავთ იქეთ ვაჯობებთ! ბევრჯერ დამიჩეხავს”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

”როცა ოჯახს სჭირდება შეშასაც დავჩეხავ და ყველაფერს გავაკეთებ”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„სტერეოტიპია ასეთი რომ კაცს უფრო მეტი შეუძლია ვიდრე ქალს“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მაგრამ მაინც ხომ არის, საცობი რომ არის ამბობენ ქალი ზის უეჭველი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

ასევე არსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებში და სოფლებში არსებობს გარკვეული წარმოდგენები ქალებისთვის შესაფერის, ან შეუფერებენ პროფესიებზე. მაგალითად, ქალის შესაფერის პროფესიებად მასწავლებლობა ან ექიმობა განიხილება.

„გოგოების ძირითად პროფესიას მასწავლებლობას და ექიმობას განიხილავენ“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტერეოტიპი შემდგომში დასაქმებული ქალების და კაცების უთანასწორო ანაზღაურებაზეც აისახება. კვლევის მონაწილეთა თანახმად, ხშირად იმავე პოზიციაზე დასაქმებულ ქალებს, რომლებიც იგივე საქმეს ასრულებენ, კაცებზე ნაკლები ხელფასი აქვთ.

„ანაზღაურება აქვთ ქალსა და კაცს განსხვავებული“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„ბევრ კომპანიაშია ასე რომ ქალს უფრო ნაკლებს უხდიან ვიდრე კაცს“,
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„თუნდაც რომ არსებობს სამსახურები, სადაც მამაკაცებს მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე ქალს, რომელიც იმ პოზიციაზე ასრულებს დავალებას, მაგრამ აქვს დაბალი ხელფასი”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე რომ ვმუშაობ თუნდაც მენეჯერის პოზიციაზე რატომ უნდა იყოს განსხვავება, ხომ იგივე სამსახურს ვასრულებ”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ქალის კარიერული წინსვლა კაცის დამსახურებაა, საყვარელი ყავს“

კვლევის თანახმად, კიდევ ერთი სტერეოტიპი, რომელიც ქალების ინტელექტუალურ და ზოგადად სამუშაო შესაძლებლობებს ეხება სამსახურში ქალების წინსვლას უკავშირდება. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ როგორც წესი ქალის კარიერულ წინსვლას კაცის დამსახურებად მიიჩნევენ „ვინმე დაეხმარა“ ან შეიძლება ნეგატიური სტიგმის საფუძველიც გახდეს - „უფროსის საყვარელია“.

„სხვათაშორის ეგეთი აზრიც არის ხოლმე საზოგადოებაში, კაცი თუ რამეს მიაღწევს კაცის დამსახურებაა, რათქმაუნდა მისასალმებელია, ბევრი იმუშავა იმან და მიაღწია, მაგრამ ქალი თუ რაღაცას მიაღწევს, მაგას ვიღაცა ჰყავს ალბათ საყვარელიო ამბობენ. რათქმაუნდა ცოდნით რას მიაღწევდა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„გამიგია ქალს როცა კარგი სამსახური აქვს ის უფროსთან დადის აი მაგიტომ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ხო უფროსმა იმიტომ წასწია წინ. ან კაცი გყავს ვიღაცა და მიგიღეს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„გოგოსავით ნუ ტირიხარ“

ტირილი, ან ზოგადად ემოციების გამოხატვა, ისევე როგორც ჭორაობა ქალისთვის დამახასიათებელ თვისებად არის მიჩნეული. შესაბამისად, აღზრდის პროცესში მოზარდ ბიჭებს ხშირად ეუბნებიან „გოგოსავით ნუ ტირიხარ“.

„გოგოსავით რატომ ჭორაობ, ასე ეუბნებიან“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„გოგოსავით ტირიხარ“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

სტიგმა

გარდა გენდერული სტერეოტიპებისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქალები ნეგატიური სტიგმის მსხვერპლიც ხდებიან. აღსანიშნავია, რომ სტიგმა ხშირ შემთხვვევაში სექსუალურ ხასიათს ატარებს

ემიგრანტი ქალები

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ქალები აღნიშნავდნენ, რომ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მათ გარშემო ქალებს ხშირად უწევთ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა, საიდანაც აქ დარჩენილ ქმარს და შვილებს თანხას უგზავნიან. რესპონდენტების ინფორმაციით, როგორც წესი ქალები საზღვარგარეთ ბავშვების ან მოხუცების მომვლელებად მიდიან. თუმცა, საზოგადოებაში ვრცელდება მოსაზრება, რომ ქალები ფულს სექს სამუშაოთი, ან სხვა ეროვნების მქონე მამაკაცებთან ურთიერთობით შოულობენ. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას შეიძლება იზიარებდნენ მათი ქმრებიც, რომლებიც, კვლევაში მონაწილე ქალების ინფორმაციით, რიგ შემთხვევაში ცოლის მიერ გამოგზავნილ თანხას აზარტულ თამაშებში ან სასმელში ხარჯავენ.

„ხანდახან პირიქითაც არის, გამიგია რომ ცოლებს უშვებენ საზღვარგარეთ სამუშაოდ და კაცი ცოლის შემოტანილ ფულს ფლანგავს. ის ქალები მუშაობენ 10 წელი ოჯახთან არ არიან“.
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„3 თვე 8 თვე იყო იქ და ეგრეა სოფელში სახელი გიტყდება. ხელები დამპალი აქვს ხოლმე ისე ჩამოდის, ფეხზე კიდევ ბოტებს არ იხდის და იქ კიდევ ჰგონიათ რომ კაცებთან დადიან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ეხლა ემიგრანტი ბევრია, ფულს უგზავნიან ქმრებს და ასე არიან. მერე კიდევ სვავენ იმ ფულით [ქმრები]“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ზოგი მეუღლე ფულს უგზავნის და ეს მიდის ტოტალიზატორში და შვილებს არაფერს არ აძლევს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

გაშორებული ან მეორედ გათხოვილი

ქალი სტიგმის მსხვერპლი გაშორების ან მეორედ გათხოვების შემთხვევაშიც შეიძლება გახდეს - „განათხოვარი“, „სხვა სახელი გეძლევა“.

„მაგალითად ქალი რომ გათხოვდეს და მეორედ გათხოვდეს შემდეგ ფრთხილად უნდა იყო“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„სხვა სახელი გეძლევა“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

3.3.1.3. საზოგადოებაში ქალების კონტროლის და უფლებების შეზღუდვის ნორმალიზება

თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოზარდ გოგონებსა და ქალებს ხშირად არ აქვთ თავისი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რეალიზების საშუალება. კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონებისა და ქალების განცხადებით, მათი ცხოვრების მრავალ ეტაპზე უამრავი შეზღუდვა და კაცების / ოჯახის წევრების ან საზოგადოების მხრიდან დაწესებული კონტროლია.

მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მოზარდი გოგონებისა და ქალების კონტროლი ქართული მენტალიტეტით ან ქართული ტრადიციებით მართლდება, და გამართლებულად მიიჩნევა, მათ შორის ქალების მხრიდანაც.

- → კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები აღნიშნავენ, რომ ხშირად კონტროლსა და წნეხს სწორედ ქალებისგან გრძნობენ;
- → კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილი კი აცხადებდა, რომ მათთვის მისაღებია დაემორჩილონ ქმრის მიერ დაწესებულ წესებს;
- → ნაწილს კი მიაჩნდა, რომ გენდერული უთანასწორობა საერთოდ არ არსებობს და დღეს ქალებს უფლებები არ ეზღუდება.

„სამსახურსაც გააჩნია, მე მაგალითად ვიცი სიტუაცია მოინდომა ღამის თევით მუშაობა, მაგრამ ქმარმა უთხრა, რატომ უნდა იმუშაო როცა გვყოფნის და შვილები რატომ უნდა დატოვო მარტო? სწორი არ უთხრა?“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მილიონები რომ მომცე არც წავალ და ვიცი არც ჩემი ქმარი არ მომიწონებს წადიო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე მგონი უბრალოდ გიჟური ამოჩემებაა. ძველი იმიდან მოდის. შუშანიკიდან...“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

თუმცა, მთლიანობაში მოზარდი გოგონების და ქალების კონტროლი კაცების მხრიდან ხდება. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ გადაწყვეტილების მიმღებად როგორც ოჯახში, ასევე

ზოგადად საზოგადოებაში კაცი მოიაზრება - „კაცი მბრძანებელია“, ქალებს კი საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის, ან ფიზიკური ძალადობის შიშის გამო დამორჩილება უწევთ. მოზარდ გოგონებს როგორც წესი ოჯახის წევრები აკონტროლებენ, ქორწინებაში მყოფ ქალებს კი მეუღლეები.

„კაცზე უნდა იყოს დამოკიდებული და მისი სიტყვა კანონი უნდა იყოს'' ასე იციან ხოლმე თქმა“. ***[მოზარდი გოგონები, წეროვანი]***

„კი იმიტომ, რომ ხშირად ქალის გადაწყვეტილებებს ყურს არ უგდებენ და რადგან კაცმა მიიღო გადაწყეტილება მორჩა, აუცილებლად მართალი იქნება რადგან კაცმა მიიღო ეს გადაწყვეტილება“. ***[მოზარდი გოგონები, წეროვანი]***

„ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში კაცებმა შეინარჩუნეს მბრძანებლის ფუნქცია, დანარჩენი ყველაფერი დაკარგეს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„პარკიდან რომ მოვდივართ მაგალითად 2 გოგო და 4 ბიჭი. როგორ შეიძლება 2-მა გოგომ 4 ბიჭთან გამოიაროს. მამაშენი სადაა, შენი ძმა სადაა“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

მოზარდი გოგონებისა და ქალების კონტროლი ხშირ შემთხვევაში მოიცავს: ქორწინებამდე სექსუალურ კავშირებს, ბიჭებთან მეგობრობას, სახლიდან გასვლას და აქტივობებს, გოგონებისა და ქალების გარეგნობას ა.შ.

- **გარეთ გასვლის კონტროლი** - მოზარდ გოგონებს მშობლები გარეთ გასვლის დროს უკონტროლებენ, სთოვენ სახლში საღამოს დაბრუნდნენ, არ გავიდნენ გარეთ თუ მისი ძმა სახლშია და ა.შ. გარეთ გასვლას ხშირად გათხოვილ ქალებსაც უკონტროლებენ. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ კაცს აქვს უფლება არ დაიბაროს სად მიდის ან როდის დაბრუნდება, გვიანობამდე იყოს მეგობრებთან ერთად, თუმცა, ქალისთვის აუცილებელია წასვლა და მოსვლის დრო მეუღლეს / ოჯახის წევრებს შეუთანხმონ. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ქალს უფლების აღება მაღაზიაში გასვლისთვისაც უწევს, ან უწევს თავი იმართლოს რის გამო გავიდა მაღაზიაში გვიან, რის გამო დააგვიანდა და ა.შ.

”სადმე რომ მიდიხარ სად ხარ ამდენი ხანი”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„კაცს შეუძლია დაუშვათ სახლში არ თქვას ისე წავიდეს, ქალმა არც უნდა გაიფიქროს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ქალი როგორ შეიძლება კლუბში წავიდეს და დაბადების დღე იქ გადაიხადოს, როგორ შეიძლება!“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მარკეტში ვიყავი 10 საათზე, ჩემი ქმარი აქვე ქარხანაში მუშაობს თანამშრომელმა დამინახა, მე ვერ დავინახე ის თანამშრომელი, ჩავიდა უთხრა შენი ცოლი მარკეტში დავინახეო და ის მირეკავს რა გინდა 10 საათზე მარკეტში, რა უნდა მინდოდეს მარკეტში. სხვამ რომ უთხრა ისაა პრობლემა თორემ თავად არ აქვს. რა უნდა ვქნა მარკეტში რა არის ისეთი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„კარგი გოგო კაცების თვალში სახლში უნდა იჯდეს, საქმეს უნდა აკეთებდეს. არ უნდა გავიდეს, არ უნდა გაერთოს“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

→ **სამუშაოს აკრძალვა** - ხშირად ქალს უკრძალავენ მუშაობას, ან აღნიშანვენ რომ უბრალოდ ხელი არ ეწყობათ იმუშაონ (ვერ ტოვებენ ბავშვს).

„არის შემთხვევები რო მუშაობს, გათხოვდება და იმან აღარ უნდა იმუშაოს, უნდა იყოს სახლში, ესენიც არსებობს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

→ **გარეგნობის კონტროლი** - კვლევაში მონაწილე გოგონები აღნიშნავდნენ, რომ გოგონებსა და ქალებს ხშირად უკონტროლებენ გარეგნობასაც: სუნამო, პირსინგი, ტატუ, მაკიაჟი, ვარცხნილობა, მოკლე შორტი, შარვალი - ყველა ჩამოთვლილი შესაძლოა რაიმე სტიგმის მიზეზი გახდეს - „სხვანაირად გიყურებენ“.

„ლამაზად იცმევ, იკრასკები უკვე სხვანაირად გიყურებენ“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„შარვალი არ უნდა ეცვას, კოჭებამდე კაბები უნდა ეცვათ“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

→ **აქტივობების კონტროლი** - გოგოების შეუსაბამო აქტივობად მიიჩნევა მაგალითად ფეხბურთის თამაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ფეხბურთის აკრძალვას მოზარდი გოგონას სხეულის დამახინჯებით ამართლებენ.

„მაგალითად მე და ნიკა ფეხბურთს რომ ვთამაშობთ გოგო ხარ და რად გინდა ფეხბურთი“.

[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„კი ფეხბურთზე მინდოდა მისვლა და არ მიმიყვანეს. თან თავიდან თანხმობა მივიღე, მაგრამ მერე გადამინდა ისეთი რაღაცეები მითხრეს, სხეული დაგიმახინჯდება, კუნთები გაგიჩნდებაო“.

[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

- **სექსუალური ცხოვრების კონტროლი** - კვლევის თანახმად, დღეს საზღვირსპირა სოფლებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ უფლება თავად განაგონ თავისი სექსუალური ცხოვრება, აირჩიონ პარტნიორი ან ქონდეთ მათთან ქორწილამდე ურთიერთობა. ამასთან, გათხოვებამდე ახალგაზრდა ქალების სექსუალურ ცხოვრებას, ფაქტიურად ნებისმიერ ასაკში აკონტროლებს როგორც ოჯახი (ხშირ შემთხვევაში მამა ან ძმა), ასევე მთლიანად საზოგადოებაც.

ახალგაზრდა ქალების თავისუფლებას ხელს უშლის მათი ქალიშვილად გათხოვების მოთხოვნა: ერთის მხრივ საზოგადოების მხრიდან ზეწოლა, პარტნიორის ყოლის შემთხვევაში სტიგმა და ქალის გარიყვა, მეორეს მხრივ დამოკიდებულება პოტენციური პარტნიორების მხრიდან, რომლებიც არა ქალიშვილთან ოჯახის შექმნას არ განიხილავენ. ვინაიდან ქალებზე ასევე არის ზეწოლა რომ შექმნან ოჯახი, მათ უწევთ ამ წესს დაემორჩილონ.

- იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას ეჭვი გაუჩნდა, რომ ახალგაზრდა ქალს პარტნიორი ყავს, მას ნეგატიურ სტიგმას აკრავენ - „ბოზია“;

- კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები აღნიშნავდნენ, რომ რიგ შემთხვევაში გოგონას დაბულინგების და გარიყვის მიზეზი შესაძლოა მხოლოდ შეყვარებულის ყოლაც კი გახდეს;

- ამასთან, მოთხოვნა, რომ ქალს არ ჰქონდეს სექსუალური კავშირი ქორწინებამდე, ხდება მოზარდი გოგონებისთვის და ზოგადად ქალებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების ბარიერიც. მიჩნეულია, რომ მათ ინფორმაცია უბრალოდ არ სჭირდებათ.

„ბიჭიც ესე მსჯელობს მოვიყვან, შემიყვარდება, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დგება სახლში არ უნდა რომ წაიყვანოს. საკუთარ თავში იმალება.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე მაგალითად ბევრი რამე მომწონს ახალგაზრდების და ბევრი არ მომწონს, არ მომწონს მაგალითად თავისუფალი ცხოვრება, არ მომწონს ქორწინებამდე სექსი. რაც ტრადიცია მოგვდევს და გვაქვს გენში ძალიან ბევრს არ მოსწონს ეს სიტუაცია.“ ***[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

„ერთხელ ოტია იუსელიანს შეეკითხა ერთი მე-6 ჯერ ვარ შეყვარებული თუ გათხოვილიო და ქალბატონო ოტიამ უთხრა ერთხელ ნორმალურია მაგრამ მე-6 ჯერ უკვე ბოზობააო.“ ***[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

„მერე ერთს თუ გახვალ ბოზობაში გადადის, არ შეიძლება.“
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„აქ არ ითვლება ეს იმიტომ, რომ აქ ქალიშვილი უნდა გათხოვდეს 40, 35 წლის ასაკში და ამიტომ არც მშობელი არ თვლის საჭიროდ რომ ჰქონდეს ინფორმაცია. რისთვის სჭირდება? რაში სჭირდება თავის დაცვა? 40 წლის რომ იქნება ქალიშვილი უნდა გათხოვდეს.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ქალიშვილობის ინსტიტუტი კი არა შეყვარებული რომ ჰყავს და ქალიშვილიც რომ არის, უიმე იმას შეყვარებული ჰყავდა უკვეო.“
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ქალებში და გოგომ რომ მოინდომოს (პარტნიორთან სექსუალური კავშირის დამყარება) ბოზის სახელი აეკიდება.“
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„შემდეგ არის ბულინგი საზოგადოების მხრიდან და გარიყვა.“
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„დედამთილებს ძალიან აინტერესებს თავისი რძალი ქალიშვილია თუ არა“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

→ **ბიჭებთან მეგობრობის კონტროლი** - კვლევის მონაწილე მოზარდი გოგონების თანახმად, ხშირად უკრძალავენ ბიჭებთან მეგობრობასაც. საზოგადოების განხილვის საგანი შეიძლება გახდეს გოგოს ბიჭებთან ერთად სადმე დანახვა, ერთი მანქანით მგზავრობა, გვიან ბიჭთან ერთად სეირნობა.

„აქ კოტეჯებში ძალიან ჭორიკნები არიან, ბიჭთან თუ დადიხარ მორჩა, ბოზი ხარ მოკლე თუ გაცვია“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ან მანქანით თუ მოგიყვანა ვინმემ და დაგინახეს მორჩა!“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„სკოლაში კალიდორში თუ დავდივართ, რატომ დადიხარ ხშირად კალიდორში, ვისთან დადიხარ. ბიჭებში გადიხარ გარეთ, ეპრანჭები“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

“მე მქონია შემთხვევა სტადიონზე რა გინდათო გოგოებს. გოგო ხარ და ამდენ ბიჭებში რა გინდა”.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

3.3.1.4. ძალადობა

თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მწვავე საკითხია ძალადობა. განსაკუთრებით ხშირია პარტნიორების / თითქმის უმრავლეს შემთხვევაში ქმრების მხრიდან ძალადობა, მათ შორის, გამოვლინდა ძალადობის ფაქტიურად ყველა ფორმა. თუმცა, თავად კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილის აღქმით, ამ მრივ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, და ძალადობის გამოვლინება ისე ხშირად აღარ ხდება.

კვლევის თანახმად, აღნიშნულ რეგიონებში, განსაკუთრებით პრობლემატურია ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი კაცების/ ხშირ შემთხვევაში ქმრების მხრიდან სხვადასხვა ტიპის ძალადობა: სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყვირილი, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა.

„ან კიდევ არის მთვრალი კაცი არის და ქალი გეტყვის გეყოფა დალევა სხვა კაცმა შეიძლება უთხრას ცოლის ნებაზე რატომ დადიხარ. მე ვიცი ესეთი შემთხვევა სუფრაზე ისხდნენ, ქალმა წამოდიო, კაცი მიდიოდა და ვიღაც მთვრალმა უთხრა შენს ცოლს როგორ უჯერებო და სახლში რომ მივიდნენ მერე სცემა. მერე პოლიციას გამოუძახა იმ ქალმა“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ყველაფერში ჩანს. კაცს მეტი უფლებები აქვს ოჯახში. ეხლა უფრო განვითარდა, ქალს მეტი უფლება აქვს. ისე აღარ არის დათრგუნული ქალი, ძალადობა აღარ ხდება კაცებისგან ქალებზე. ძალადობა ეხლა იშვიათია, ფიზიკური შეხება, ცემა. ეხლა აღარ არის“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

ეკონომიკური ძალადობა

ქალების მიმართ ეკონომიკური ძალადობა, ძირითადად ორი განსხვავებული ფორმით ვლინდება:

1. ქალს ეზღუდება მუშაობის უფლება, რის გამოც იგი მატერიალურად დამოკიდებული ხდება ქმარზე / ქმრის ოჯახზე. კვლევის მონაწილეები ყვებოდნენ მაგალითებს, როდესაც ქალებს უწევთ ქმარს ანგარიში ჩააბარონ ოჯახური საქმეებისთვის დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით. ასევე საგულისხმოა, რომ ხშირად, ეკონომიკურ ძალადობასთან ერთად, ქალი ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, თუმცა, მატერიალური მხარდაჭერის არ არსებობის გამო, ვერ ტოვებს ძალადობრივ გარემოს.

> *„იმის მიუხედავად, რომ ქალი არ მუშაობს და კაცისგან იღებს ფულს ქალმა რომ ცოტა ზედმეტი დახარჯოს თავისი თავისთვის იციან ხოლმე სად წაიღე“.*
> ***[მოზარდი გოგონები, ვერხვები]***

2. კვლევის თანახმად, საზღვრისპირა სოფლებში და დევნილთა დასახლებებში ეკონომიკური ძალადობის ასევე გავრცელებული ფორმაა, როდესაც ოჯახში დასაქმებული / ფულის შემომტანი ქალია (კაცი არ მუშაობს) თუმცა, ფინანსებს ქალი თავად ვერ აკონტროლებს:

→ ქალები თავად არ გრძნობენ უფლებას თავისი სიამოვნებისთვის ან თავის მოვლისთვის დახარჯონ თანხა და ფულს მხოლოდ ოჯახის საჭიროებისთვის იყენებენ

→ ქალს ქმარი არ აძლევს საკუთარი ფულის განკარგვის უფლებას და უკონტროლებს ფულის ხარჯვას.

> *„მე კონკრეტული მაგალითი ვიცი, ჩვენს გვერდზე ვიცი ქალი მუშაოს, კაცი რაღაც პრობლემის გამო ახლა არ მუშაობს და ქალს არ აქვს თავისი ნამუშევრიდან 1 ლარი, რომ დახარჯოს თავის თავზე. ფულს რომ მიიტანს სახლში იმ ფულს განკარგავს უკვე ქმარი. ეს ძალადობაც არის და ყველაფერი“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***
>
> *„ან ცოლის ნაწვალებ ფულს თვითონ ითვისებს“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***
>
> *„მაგალითად დილაადრიან 5-6 საათზე ქალი დატვირთავს 10 ვედროს, ჩაალაგებს შიგ გასაყიდად რაღაცას, ბაზარში მიდის, ქმარი იმასაც კი არ იკადრებს რომ ტრანსპორტამდე მიუტანოს, თვითონ უნდა წაიღოს ორი ვედრო დადგას, მერე უნდა მობრუნდეს, მეორე ორი წაიღოს და ასე შემდეგ, უნდა წაიღოს ბაზარში გაყიდოს და ქალს ზოგჯერ იმდენად ენანება თავის შრომა რომ თმები რომ აქვს შესაღები საღებავსაც არ ყიდულობს. წავა ფქვილს იყიდის, შაქარს იყიდის, სარეცხის საშუალებას იყიდის ისევ ოჯახისთვის და თავის თავისთვის არ გაიმეტებს, იმიტომ არის რომ ჩვენი ქალები ძალიან მალე ბერდებიან, კბილის ექიმთან არ წავა ქალი რომ კბილი გაიკეთოს, ზოგავს თანხას რომ არაფერი არ მოაკლდეს ოჯახს. ეს თავისთავად ცხადია მისი ცხოვრების წესიდან არის გამომდინარე და ესეც ძალადობაა საკუთარ თავზე... თან პივა რატომ არ წამომიღე, სიგარეტი რატომ არ წამომიღე. ეს არ დაავიწყდება კაცს“.*
> ***[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]***

ერთეულ შემთხვევაში ასევე ახსენეს ქალისთვის იგივე სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უფრო დაბალი ანაზღაურების და ზოგადად, ქალებისთვის ცუდი სამუშაო პირობების პრობლემაც. თუმცა, ყველაზე ხშირად, ქალები მუშაობას ვერ ახერხებენ 1) იმის გამო, რომ არ მისცეს განათლების მიღების საშუალება, ან 2) იმის გამო რომ არ აძლევენ მუშაობის უფლებას.

„მონური მუშაობაა არის დღესდღეობით, აქვთ ჰექტრებით ნაკვეთები მუშაობენ გოგოები და საათში რომ 10 წუთი დაისვენონ იმის უფლებას არ აძლევენ. არ შეიძლება“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

ფსიქოლოგიური ძალადობა და ბულინგი

კვლევის თანახმად, ქალები ხშირად არიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი:

- შეურაცხყოფა, ჯორაობა, ბულინგი, ქალის სხვადასხვა ფორმით დაკნინება;
- ქალის გადაწყვეტილებების უგულვებელყოფა კაცის სასარგებლოდ;
- მუქარა და ყვირილი. განსაკუთრებით ხშირია ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი ქმრების / მამების მხრიდან;
- ეჭვიანობა და ამ ფონზე ცოლის ცხოვრების კონტროლი.

„თავისუფლების შეზღუდვა, შეურაცხყოფის მიყენება. როდესაც პირად გადაწყვეტილებებს არ სცემენ პატივს“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„ხშირად ქალის გადაწყვეტილებებს ყურს არ უგდებენ და რადგან კაცმა მიიღო გადაწყეტილება მორჩა, აუცილებლად მართალი იქნება რადგან კაცმა მიიღო ეს გადაწყვეტილება“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მთვრალი კაცი რომ სახლში მიდის და ყველაფერზე უშარდება. რო ემუქრება სიკვდილით“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„იყო შემთხვევა რომ ისეთი რაღაცეები მოიგონეს ჩემზე ლამის სუიციდი გადავწყვიტე გამეკეთებინა ისეთი ცუდი სიტუაცია იყო, მაგრამ მერე ჩავიქნიე ხელი, არ მივუგდე ყური არაფერს, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, მე ჩემს თავთან ვიყო მართალი, ძალიან მძიმედ მოხვდა ჩემს გულს და მძიმედ გადავიტანე. ესეც ძალადობის ფორმაა აუცილებლად“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„მაგალითად რო გაგინებს ქმარი.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„შეიძლება ფიზიკურად არ შეგეხოს, მაგრამ ფსიქოლოგიურად გამოგიყვანოს მდგომარეობიდან.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

ზოგადად, კვლევის მონაწილეები ქალებზე ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად განიხილავდნენ სხვადასხვა შეზღუდვებს, რასაც საზოგადოება ან ოჯახი ქალებს მოზარდობის ასაკიდან უწესებს.

- → რესპონდენტების თანახმად, გათხოვილ ქალს ხშირად ყველა ნაბიჯის შეთანხმება წინასწარ უწევს ქმართან, ქმარი კი წყვეტს რისი გაკეთების უფლება მისცეს ცოლს. მაგალითად, შეუძლია აუკრძალოს მეგობრებთან ან მშობლებთან ურთიერთობა, გაუკონტროლოს მაღაზიაში საყიდლებზე გასვლის დრო;
- → რიგ შემთხვევაში ქალები ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდიან არა მხოლოდ ქმრების, არამედ შვილებისგანაც, რომლებიც ასევე გრძნობენ უფლებას დედას აუკრძალონ რაიმეს გაკეთება;
- → ქალებს და მოზარდ გოგონებს თავისუფლებას უზღუდავენ არა მხოლოდ ოჯახის წევრები, არამედ ბიჭი შეყვარებულებიც.

„არ ჩაიცვა, არ წახვიდე, არ დაელაპარაკო, არ დაგალაპარაკოს, არ ჩაუჯდე, იმდენი რაღაც მესმის.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ყველა ნაბიჯის ახსნა რომ გიხდება და მაღაზიაში 5 წუთით მეტი რატომ გაჩერდი“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

„ძალადობა არ არის შენს მიმართ, შვილები რომ გეუბნებიან არ წახვიდე, არ გააკეთო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„მე მქონდა ეგეთი შემთხვევა. 14 წლის ვიყავი, შეყვარებული მყავდა, სახელს არ ვიტყვი და ეგეთი იყო. სახლში იყავი 10 საათზე ეს და ის არ ჩაიცვა და ბიჭებთან ურთიერთობა არ გქონდეს“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

ფიზიკური ძალადობა

თვისებრივი კვლევით ირკვევა, რომ ხშირად ფსიქოლოგიური ძალადობისგან თავის დაცვის და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ქალის მხრიდან შეწინააღმდეგების მცდელობა ფიზიკური ძალადობით მთავრდება.

კვლევის მონაწილეების უმრავლესობას სმენია მათ გარშემო ოჯახებზე, სადაც ცოლი ქმრის მხრიდან სიტყვიერ ძალადობასთან ერთად ფიზიკური ძალადობის მსხვერპლიც იყო. კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები და ფერტილური ასაკის ქალები აღწერდნენ მათ გარშემო მომხდარ ფაქტებს, როდესაც გაიგეს ძალადობის ხმები მეზობლად მცხოვრები ოჯახებისგან, ან ნახეს სილურჯეები ქალის სახეზე / სხეულზე.

„ხოდა ეგეც უკვე ფსიქოლოგიური მომენტია, თუ შეეპასუხება ვინმე იწყება ფიზიკური ძალადობა.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ისეა, რომ ფსიქიკური ძალადობის მერე მოსდევს და გადადის ფიზიკურში ეს ყველაფერი მერე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

ფიზიკური ძალადობა ხშირად ხდება ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ან ეჭვიანობის ნიადაგზეც.

„ჩემი მეუღლეც ძალიან კარგი იყო სკოლის დირექტორად ნამუშევარი, მაგრამ სიმთვრალეში ხანდახან ისეთი ცუდი ხასიათი ჰქონდა, რომ მოვიდოდა ძალიან ეჭვიანი იყო, მე ჩემს 5 შვილთან ერთად კინოს ვუყურებდი, ერთხელ გიორგი სააკაძე გადიოდა ორ სერიანი ფილმი, შემოგლიჯა კარები მეჩხუბება შენ აქ ვინა გყავდა, კარების ჩხაკუნი გავიგონე ვიღაც გყავდა და გააცილე. 5 შვილის დედას ვინ უნდა მყოლოდა, იწია მერე ჩემზე ზედ დამამტვრია ყველაფერი მაგრამ სად უნდა წავიდე?“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

სექსუალური ძალადობა და სექსუალური შევიწროვება

სექსუალური ძალადობა, ისევე როგორც ზოგადად სექსუალურ ჯანმრთელობასთან და უფლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ტაბუირებულია და მათი საზოგადოებაში განხილვა ნაკლებად ხდება. ქალები, ხშირად თავად გრძნობენ სირცხვილს სექსუალური ძალადობის ან სექსუალური შევიწროვების გამო, რის გამოც თავს იკავებენ როგორც დახმარების თხოვნისგან, ასევე მომხდარი ფაქტების ახლობლებთან განხილვისგან.

„ამ თემაზე ვინმე ნაკლებად საუბრობს. იშვიათად გამოდის ეს ოჯახიდან”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

კვლევაში მონაწილე ქალები ყვებოდნენ სექსუალური ძალადობის ერთეულ შემთხვევებზე, რომლებიც მათ სმენიათ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ტაბუირების გამო, მათ გარშემო სექსუალურ ძალადობას ბევრად უფრო ხშირი ხასიათი აქვს:

- → მამის მხრიდან არასრულწლოვან გოგონაზე ძალადობა;
- → მამამთილის მხრიდან რძალზე სექსუალური ძალადობა;
- → ქმრების მხრიდან ცოლზე სექსუალური ძალადობა - აღნიშნული ფაქტების გახმაურება განსაკუთრებით იშვიათად ხდება, ვინაიდან ქალის ან ოჯახის სირცხვილად არის მიჩნეული;
- → სოფელში არასრულწლოვანი პირის გაუპატიურება.

„არის შემთხვევა მამის მხრიდან ძალადობა. ტელევიზორში იყო ბავშვზე იძალადა არასრულწლოვანზე“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***

„რამდენი მამამთილია ადრე გამიგია რძალზე უძალადია, ტელევიზორშიც ყოფილა ეგეთი რაღაც პროფილში სულ ესეთ რაღაცეებს აცხადებენ ისეთ რაღაცეებს ჰყვებიან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„არ ვიცი სიმართლეა თუ არა, დღეს გავიგე ერთ-ერთ სოფელში ჩემი ტოლია, ჩემზე 1 წლით პატარა გოგო გააუპატიურეს“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ჩვენთან იყო 9 წლის გოგო, გააუპატიურა ერთმა კაცმა და მერე სახლში მოკლა. თან ფრთხილი ბავშვი იყო ისე არ ჩაუჯდებოდა მამის მეგობრის მანქანაში. დედამისი ყვებოდა ერთხელ მოდიოდა ესე სახლში და არ ვიცი რა მოხდაო, იმ კაცს უთქვამს ძაღლები თუ ლეკვები მყავსო და გაჩუქებო, მერე დედამისს ტელეფონიც გამოართვა ამ ბავშვმა ფოტოები უნდა გადაუვღო ლეკვსო. მერე ამ კაცმა მოიტაცა“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„სექსუალური ძალადობა არ შეიძლება მხოლოდ იყოს უცხო ადამიანის მიერ განხორციელებული, შეიძლება ქმრის მხრიდანაც იყოს.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

თუმცა, კვლევის ფარგლებში მრავლად გამოვლინდა ქუჩაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში უცხო პირებისგან ქალების და მოზარდი გოგონების სექსუალური შევიწროვების ფაქტები.

- → საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან ქუჩაში მამაკაცების მხრიდან შემაწუხებელი / დაჯინებული მზერა;
- → სექსუალური შევიწროვება ტრანსპორტში, ქალის სხეულზე შეხება, ზედმეტად ახლოს დადგომა / დაჯდომა;
- → ქუჩაში მასტურბაცია, მათ შორის მოზარდი გოგონების დასანახად.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, კვლევის მონაწილე ფერტილური ასაკის ქალები აღნიშნავდნენ, რომ მოძალადეს მათ რეგიონში „კარგი სახელი“ აქვს, ხშირად უნახავთ სხვა კაცებთან ერთად ქუჩაში მოსაუბრე, ამის გამო არ აქვთ იმედი რომ საზოგადოება მათ დაუჯერებს და დაუჭერს მხარს. ამის ნაცვლად, ქალები საზოგადოებისგან პირიქით გაკიცხვას ელოდებიან - „ამხელა კაცს როგორ აკადრე? როგორ დააბრალე?“. შესაბამისად, მოძალადის გასაჯაროვების და მისი დასჯის ნაცვლად, ქალები უბრალოდ თავის არიდებით ცდილობენ თავის დაცვას.

- → იშვიათ შემთხვევაში ქალებს გარკვეული ემპათიაც უჩნდებათ მოძალადის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მათ სექსუალურ შევიწროვებას ცდილობს და მიიჩნევს, რომ მოძალადე უბრალოდ ავად მყოფის - „საწყალი“, „ალბათ ვერ აქვს ყველაფერი რიგზე, ავად არის“.

„ადამიანს რომ მიაშტერდები მარშუტკაში, საზოგადოებრის ტრანსპორტში“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„აი ესე ვიჯექი მარშუტკაში და ესე უკნიდან მომიჭირა ხელი, გავხედე და გამიცინა. ჩამოვედი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მე მიჩქმიტა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ ყველამ იცის ეგ კაცი არ არსებობს. მოხუცი კაცია. ცოდოა ვინ იცის რა პრობლემა აქვს მაგრამ ნებისმიერ დროს რომ ავიდე მოგიჯდება, არ აქვს იმისთვის მნიშვნელობა, გიყურებს, გიყურებს, თვალებით გჭამს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ვიფიქრე ბაზართან ჩავათქო და რომ არ ჩავიდა ავდექი და მე ჩამოვედი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მე მაგლითად ჩემს აზრს ვიტყვი, ამ კაცისთვის რომ მე რაღაცა მეთქვა ვაიმე უკაცრავად ბატონო და ცოტა თავი შეიკავეთ, ყველა მე გამამტყუნებდა ამ ხნის კაცს რა აკადრაო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„სხვათაშორის ერთ კაცს შვილებიც ჰყავდა, ოჯახიც ჰყავდა და სკოლის პერიოდში რომ მოდიოდნენ ახალგაზრდა ბავშვები, დაჯდებოდა ხოლმე სკამზე და მასტურბირებდა ხოლმე. ისე შეგვეშინდებოდა ხოლმე რომ იქით მივდიოდით. ავადმყოფია.... არავინ გვიჯერებდა რომ ამას აკეთებდა. ეხლა დიდ კაცებშიც იდგა ხოლმე ბირჟაზე და რომ გამონახავდა დროს რომ არავინ არ იყო იქ კაცი და ბავშვებს დაინახავდა ეგრე აკეთებდა ხოლმე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

ერთეულ შემთხვევაში გამოვლინდა არასრულწლოვანი პირის სექსუალური შევიწროვების მაგალითები, მათ შორის სკოლის მასწავლებლის მხრიდან:

- → სოფელში მცირეწლოვანი ბავშვების სექსუალური შევიწროება - დანაშაულის, სირცხვილის განცდა თავად ბავშვს აქვს, ან უბრალოდ ეშინიათ მომხდარის გახმაურება;
- → სკოლის მასწავლებლის მხრიდან მოსწავლე გოგონების სექსუალური შევიწროვება / სხეულზე შეხება.

„ვიცი სოფელში მოხდა მეზობლის ბავშვს ხელებს უფათურებდა, მაგრამ ბავშვები ვერ ამბობდნენ, კი იმათი ბრალი იყო ხელს რომ დაადებ და მერე გამოდიოდნენ, მაგრამ მაინც ამ ბავშვებს ეშინოდათ, ვერ ამხელდნენ და ერთად გაამხილეს, ერთმანეთს უთხრეს და მერე უთხრეს მშობლებსაც და მერე ეგ კაცი მგონი დაიჭირეს“.

[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ჩვენი ფიზიკის მასწავლებელია, პედოფილია და რო გაყავს რაღაცნაირად ისე დაადებს ხელს ყველას ეშინია მაგ კაცის, არც მიდის სკოლიდან, თან ცოლი და შვილები ჰყავს. და თავის შვილებს რას უზამს სხვას რომ ასე ექცევა“.

[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

ოჯახში ძალადობა / მცირეწლოვან ბავშვებზე

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მცირეწლოვან ბავშვებზე ოჯახში ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც. ზოგადად, კვლევის მონაწილეების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხშირად სმენია ბავშვზე ფიზიკური ძალადობის შესახებ, თუმცა, თავს იკავებენ სოციალური მუშაკისთვის მიმართვისგან, ვინაიდან აქვთ შიში, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვი შეიძლება ოჯახიდან წაიყვანონ. სოციალური მუშაკების ან სამართალდამცავი ორგანოების ჩართვასთან დაკავშირებული არასწორი მოლოდინების გამო, ხშირ შემთხვევაში ბავშვზე ძალადობის ფაქტები უყურადღებოდ ხდება, ან იშვიათ შემთხვევაში მხოლოდ მეზობლების მხრიდან ოჯახის წევრების გაფრთხილებით შემოიფარგლება.

„სოციალურ სამსახურს ჩართავ და იცით რა სიტუაციაც არის 9 ბავშვი წაართვეს. მე არ ვიცი რა სიტუაცია იყო, მაგრამ ფაქტია ის ბავშვი ისეთ ცემაში და უბედურებაშია პირდაპირ ვუთხარი ვიცი ძალიან ცემთ ამ ბავშვს და დედას ვუთხარი, იზრდება ბებიასთან. პირდაპირ ვუთხარი ამ ბავშვს ჩამოგართმევენ თუ სოციალურ სამსახურამდე ვინმემ მიიტანა მეთქი. მე არ ვიცი რა და როგორ შეცვალეს, ფაქტია, რომ ის წივილ-კივილი ნამდვილად არ გამიგია“.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე მინახავს ეს ბავშვი ბებია, დეიდა როგორ სცემენ და ის გატრუნული იყო, ქალები არიან და დეიდა და ბებია ერევა ამ ბავშვს“.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ბავშვსაც გააჩნია, მე მაგალითად უფროსთან ძალიან გამიჭირდა ლიფი რომ ჩაეცვა, იყო 9- ე კლასში, ბოლოს ვცემე და ისე ჩავაცვი იმიტომ, რომ ბიჭურად მოიხარა, ბიჭობდა”.

[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

მოტაცება და იძულებით გათხოვება

ქალების ადრეულ ასაკში გათხოვებასთან დაკავშირებით ცალსახად პოზიტიურ ცვლილებად ითვლება მოტაცების და გოგონების იძულებით გათხოვების შემთხვევების შემცირება. კვლევის მონაწილეთა თანახმად, გოგოს მოტაცების ან არასრულწლოვან ასაკში იძულებით გათხოვების ფაქტების შესახებ ბოლო წლებში მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში სმენიათ. თუმცა, აქვე, აღსანიშნავია, რომ ორივე

ტრადიცია ჯერ კიდევ არსებობს, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, სადაც ხალხი ზოგადად მეტად ტრადიციულია.

„მოტაცება უფრო სოფლებში და ესეთ ადგილებში. ტრადიციები სადაც არის“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„16 წლის გოგო გაათხოვეს“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

ძალადობრივი გარემო და ბულინგი სკოლებში

კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონების თანახმად, პრობლემური საკითხია სკოლებში ძალადობრივი გარემო. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მათი თანატოლები ხშირად არიან სკოლის სხვა მოსწავლეების მხრიდან ბულინგის ან დაცინვის მსხვერპლი. აღსანიშნავია, რომ გოგონების თქმით, ბულინგის მსხვერპლიც ხშირ შემთხვევაში გოგოა.

კვლევის თანახმად, გოგონების დაცინვა სკოლაში ყველაზე ხშირ შემთხვევაში გარეგნობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხდება: სიმაღლე, მკერდის ზომა, ჩაცმულობა, წონა, ცხვირის ფორმა და ა.შ.

„ჩემთან ეგ არის მკერდზე, ძალიან დიდი მკერდი აქვს და თქვენთან რძე რა ღირს და ძროხა და ესეთი, დაცინვაა. უკვე იმ დონეზე ჰყავთ დაბულინგებული, ეს გოგო ეწევა, ამ ბიჭმა გაიგო და თუ არ უნდოდა ამ გოგოს მამამისისთვის რომ ეთქვა ამ გოგოს მამამისისთვის უნდა მოეპარა ყოველ დღე სიგარეტი და ეს გოგოც ისეთ დღეში ჩააგადო უნდა მოეტანა. მერე პირთან დაუნახეს მუწუკი და ამ ბიჭზე გაუვრცელეს მერე და ერთი ამბები იყო“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„სუმსუქნეზეც ძალიან არის და ცხვირზეც“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„კიდევ იციან 2 მუწუკი აქვსო პატარა მკერდზე. დიდი მკერდი დასაცინია და რომ არ გაქვს ფიცარი ხარ“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„წვრილი წელი თუ არ გაქვს ღიპიანი ხარ“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

აღსანიშნავია, რომ სკოლებში მოზარდებს უწევთ გაუმკლავდნენ თანატოლების მხრიდან ბულინგს, არამედ მასწავლებლების მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას და ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკურ ძალადობასაც. ამასთან, კვლევაში მონაწილე მოზარდი გოგონები აღნიშნავდნენ, რომ მათ არ აქვთ დირექციის ან მშობლის მხრიდან მხარდაჭერის იმედი, იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლის მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე მოყვებიან.

→ რიგ შემთხვევაში აღნიშნეს რეპეტიტორების (არა სკოლის მასწავლებლის) მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტების შესახებაც

„მე ფორტეპიანო დავამთავრე შევდივარ და არაფერს რომ არ ვაშავებ ეგრევე დევბილს მეძახის ანუ ვერ ვიგებ რა უნდა, ვზივარ ვუკრავ თითებს მაკვრევინებს, აღარ შემიძლია, ხან თავში წამომარტყამს, ვინ გდია, მშობელი რომ იყოს კიდევ ჰო, დედას ხომ აქვს უფლება“.

[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„ხელი დამარტყა მასწავლებელმა და დირექტორთან ჩავედი, სამინისტროს გადასცეს ეს მონაცემები, სოციალურ ქსელშიც გავრცელდა, მაგრამ დედაჩემის თანხმობა მჭირდებოდა, რომ ან სკოლიდან უნდა წასულიყო ის მასწავლებელი, მაინც წავიდოდა და დავტოვეთ ის მასწავლებელი სკოლაში. მე 2 შემთხვევა მქონდა ეგეთი, მაგრამ ერთმა ისე ქნა, რომ გადამაფიქრებინა და ეს მასწავლებელი სკოლაში დავტოვეთ და მაგის მერე გადაკიდება როგროც იციან გადამეკიდა და ჩუმად რომ ვყოფილიყავი ალბათ ასე არ იქნებოდა“.

[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

3.3.2. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევის ხელშემწყობი ფაქტორები და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის ბარიერები

თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში არსებულ ძალადობრივ გარემოს და მოზარდი გოგონებისა და ქალების უფლებების რღვევას ხელს უწყობს:

- ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ ინფორმაციის სიმწირე;
- აღქმა, რომ უფლებების არსებობას აზრი არ აქვს, ვინაიდან გადამწყვეტი მაინც კაცის სიტყვაა;
- ძალადობის მსხვერპლის დადანაშაულება და მოძალადის გამართლების ტენდენცია.

ა) ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ ინფორმაციის სიმწირე

თვისებრივი კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ქალებს არ აქვთ ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ, ისევე როგორც არ აქვთ ინფორმაცია დოკუმენტების ან საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებიც არეგულირებს აღნიშნულ უფლებებს.

კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილს მიაჩნდა, რომ დღეს, ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე ხელმისაწვდომია, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ვარაუდობდნენ, რომ მარტივად მოიპოვებენ ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებაც. ერთეულმა რესპონდენტმა ახსენა ქალთა უფლებებთან დაკავშირებით სატელევიზიო რგოლებიც.

„თუნდაც ტელევიზიით გადის რეკლამები, ძალიან დიდი კამპანიებია ბოლო წლებში, იყო დრო როცა არ იყო ინფორმაცია, მაგრამ ახლა საკმარისი ინფორმაციაა“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

„ყველამ იცის 21-ე საუკუნეა, სოციალური ქსელია და ათასი რაღაც ინტერნეტი და რაღაც შეიძლება მოიძიონ ყველაფერი.“ ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

ამისგან განსხვავებით, მოზარდ გოგონებს მნიშვნელოვნად მიაჩნდათ უფლებების ცოდნა, რაც მათი აღქმით დაეხმარება მათ მომავალში დაიცვან თავი ძალადობისგან ან არ დაუშვან მათი უფლებების რღვევა.

„კი, ძნელია ინფორმაცია რომ არ აქვთ ჩვენხელა ბავშვებიც არიან და მგონია პატარაობიდანვე უნდა იცოდე.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

მთლიანობაში, კვლევის მონაწილეები ვარაუდობდნენ, რომ სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები შემდეგ საკითხებს არეგულირებს:

- → არასრულწლოვან პირებთან სექსუალური კავშირის აკრძალვა;
- → ძალადობა, მათ შორის პირველ რიგში სექსუალური ძალადობა (ძირითადად გაუპატიურებას მოიაზრებდნენ);
- → იძულებით გათხოვება ან მოტაცება;
- → შვილის ყოლის უფლება უფლება.

სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ ინფორმაციის სიმწირე გარკვეულწილად ხელს უწყობს ქალების უფლებების რღვევას. კვლევის მონაწილეთა თანახმად, ხშირ შემთხვევაში ოჯახში ძალადობა ქალებს ნორმა ჰგონიათ, შესაბამისად ძალადობას უბრალოდ ეგუებიან.

„ეგ ძალიან ძნელია. როცა ადამიანს ჰგონია რომ ესე არის სწორი ძალიან ძნელია გადაარწმუნო და მიახვედრო რომ ცუდ მდგომარეობაშია. ზოგადად ერთი ქალი იყო ქმარი ძალადობდა მასზე და მას ეგონა ჩვეულებრივი რაღაც იყო. ოჯახი მაქვს და აბა როგორ უნდა იყოს სხვანაირადო“.
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

ბ) აღქმა, რომ უფლებების არსებობას აზრი არ აქვს, ვინაიდან გადამწყვეტი მაინც კაცის სიტყვაა

აღსანიშნავია, რომ რიგ შეგმთხვევაში, კვლევაში მონაწილე ქალები ვერ ხედავენ აზრს რაიმე კანონის არსებობის, ერთის მხრივ იმის გამო, რომ ძალაუფლება ოჯახში კაცს აქვს, და შესაბამისად, მიიჩნევა რომ მისი სიტყვა კანონზე მაღლა დგას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებები ადამიანების „შეგნებამდე“ და ოჯახებში არსებულ ტრადიციებამდე დადის - ზოგიერთს ესმის რომ ძალადობა ცუდია, ზოგს მიაჩნია, რომ თუ დააშავებს, ქალის ცემა გამართლებულია. მეორეს მხრივ, კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე - საზოგადოების მხრიდან არის ზეწოლა, არ მოხდეს ოჯახში მომხდარი ფაქტების აფიშირება - „ოჯახიდან გამოტანა“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დასახლებაში [წეროვანი], კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის

ქალების დიდი ნაწილი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ ოჯახში მომხდარი, მათ შორის ძალადობაც მხოლოდ ოჯახის საქმეა.

„ჩემი აზრით სადაც ოჯახში სიყვარული და გაგებაა თანასწორობაც იქნება.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„თუ ადამიანი შეუგნებელია იმას არც კანონი არც არაფერი, კანონიც მე ვარო იტყვის და მორჩა.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„აქ არის სექსუალურ უფლებებზე ლაპარაკი და ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე მეეჭვება ამაზე ვინმე ხმამაღლა საუბრობდეს და ოჯახიდან ვინმეს გაჰქონდეს ეს საკითხი.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

გ) ძალადობის მსხვერპლის დადანაშაულება და მოძალადის გამართლების ტენდენცია

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ დასახლებაში (მაგალითად წილკანი), ძალადობრივი ქმედებების წახალისება და მხარდაჭერა შესაძლოა ქალების მხრიდანაც ხდებოდეს. კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, შესაძლოა დამნაშავე თავად ქალი იყო - მაგალითად შეეპასუხა ქმარს, არ დაუჯერა, არ დაუთმო და ამ შემთხვევაში ძალადობა გამართლებულად მიაჩნდათ. საზოგადოება ხშირად ძალადობის მსხვერპლსაც სთხოვს ახსნას, რის გამო მოექცა ძალადობრივ გარემოში - თავად ხომ არ დააშავა რამე? გვიან ხომ არ იყო სახლიდან გასული?

გარდა ქალის დადანაშაულებისა, გამოიკვეთა მოძალადის გამართლების ტენდენციაც: „ნასვამი იყო“, „წყობიდან გამოიყვანა“ და ა.შ.

„როცა ეს ფაქტი ხდება ორივე მხარე დამნაშავე არის, გამოდის, რომ ისიც (ქალი) რაღაცას აკეთებს, თორე ის (კაცი) რომ მიდის ცემამდე გიჟი ხომ არ არის“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

„ხომ იცი შენი მეუღლე როგორია, თანაცხოვრების მანძილზე იცნობ არ მოსწონს თუნდაც ჩაცმა, დაუკითავად წასვლა, ვიღაც არ მოსწონს, ვიღაც მეზობელი და გიშლის მასთან ურთიერთობას.- იმას აკეთებენ, რაც არ მოსწონს მის მეუღლეს. მაგ შემთხვევაში მართლა საცემია ეგ ქალი“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

„თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს ქალსაც და კაცსაც და ცემა არ არის გამოსავალი. ზოგი ისეთია შეიძლება ამით გამოაფხიზლონ“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]***

„წესიერ გოგოს რა უნდოდა გარეთ, რატომ გაუშვეს. პარტონი სად იყო“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***

„ასე ამბობენ, შეიძლება თვითონაც უნდოდა, თუ პატიოსანია გარეთ რა უნდოდაო“.

[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

კვლევის თანახმად, ძალადობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას ქალები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განიხილავენ, როდესაც უკვე მოთმენა შეუძლებელია. ძალადობის შედარებით ნაკლებად გამოხატული ფორმების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა საერთოდ არ განიხილება.

„უკანასკნელი სიტუაცია რომ იქნება შეიძლება დარეკო.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მთელი რიგი ფაქტორები, რის გამოც, როგორც წესი ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლი, ან ძალადობის შესახებ ინფორმაციის მქონე პირები სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავენ.

→ **სტიგმა** - კვლევის თანახმად, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ქალებს უჩნდებათ შიში, რომ მათ საზოგადოება გარიყავს, ან ინფორმაცია მათზე ძალადობის შესახებ ხელს შეუშლით მომავალში იპოვონ პარტნიორი / დაოჯახდნენ.

მხარდამჭერის არქონა - რესპონენტების თანახმად, ყველაზე ხშირად ქალი ოჯახურ ძალადობას მატერიალური დამოუკიდებლობის არარსებობის გამო ითმენს. ვინაიდან ქალებს ხშირად არ აძლევენ მუშაობის უფლებას, მათთვის გაცილებით რთული ხდება მოშორდნენ ძალადობრივ გარემოს და დამოუკიდებლად შეძლონ თავისი თავის ან შვილების რჩენა. ხშირად, არ აქვთ მხარდაჭერის იმედი ოჯახისგან, არ აქვთ ინფორმაცია მხარდამჭერ სერვისებზე ან რწმენა, რომ დაეხმარებიან სამსახურის ან თავშესაფრის პოვნაში.

„ქალებს ნაკლები განათლება აქვთ და არ აქვს იმის ის რომ წავიდეს ბავშვი როგორ არჩინოს, მუშაობას ვერ დაიწყებს, არ აქვს განათლება, არ აქვს სამსახური, იძულებულია მოითმინოს.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ზოგჯერ მშობლები ჰყავთ, ძმები ჰყავთ როგორი წაუსვლელობაც შეიძლება იყოს ის ერთი კუთხე მაინც უნდა გამონახო რომ შენი შვილი წამოიყვანო და რავი არ უნდათ ზოგჯერ მშობლები გვერდზე არ უდგანან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

→ **ოჯახის დანგრევის შიში** - რაც თავის მხრივ მრავალ ფაქტორს აერთიანებს: 1) ბავშვების მამის გარეშე დატოვება, 2) განათხოვრის სტატუსი („სახელის გატეხვა“) და შესაბამისად მოსალოდნელი დისკრიმინაციული დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან, 3) მოძალადე ქმრის გამოსწორების იმედი, 4) გაკიცხვა და მსხვერპლის დადანაშაულება - „ისედაც გინდოდა ოჯახის დანგრევა“, „ამას მიზეზად იყენებ“.

იმიტომ, რომ ოჯახის დანგრევის შიშია. გაკიცხვის.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„სახელი გამიტყდება, ჩემი შვილები მერე მარტო იქნებიან, მამა ან დედა არ ეყოლებათ.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ქმარი გამოსწორდება, რაღაც შეიცვლება, მაგრამ ამ დროს არაფერი არ იცვლება“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„მე შემეძლო ის სულ გამეგდო სახლიდან მაგასაც გავაკეთებდი მაგრამ მაინც ხალხის ერიდება ადამიანს, საზოგადოების აზრს ითვალისწინებს და მერე ჩემ შვილებს შერცხვებათ გარეთ გასვლისა და მე ჩემი შვილების მრცხვენია“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„მიზეზები ისაა რომ ოჯახი დანგრევა არ უნდათ, მერე შვილებს არ უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს, ჩემს შვილებს როგორ შეხედავენ სხვები. ბევრი ფაქტორია.“
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„ოჯახის შენარჩუნების მიზნით შეიძლება, არ უნდათ რომ ბავშვები დაისტონ, მაგრამ ჩემი აზრიტ პირიქით არის.“
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„მერე როგორც სხვები ამბობენ ხოლმე ადამიანს სახელი უტყდება, ჭორაობენ.“
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„განათხოვარი ქალის სტატუსს მიანიჭებენ და ვსიო, ეს ასე არის. მეზობლებშიც რას ჭორაობენ ვერ გაიგებ.“
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

→ **„შიში, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვერ დაიცავენ** - ძირითადად ქალებს არ აქვთ იმედი რომ რეალურ დახმარებას გაუწევენ და ჩათვლილია, რომ ეს მხოლოდ დროებით გამოსავალია, რასაც შესაძლოა მომავალში უფრო გართულებული შედეგები მოჰყვეს. კვლევის მონაწილეების ინფორმაციით, სამართალდამცავებისთვის მიმართვის შემთხვევაში, მათ შეიძლება გასცენ შემაკავებელი ორდერი ან უკეთეს შემთხვევაში 6 თვით დაიჭირონ მოძალადე ქმარი, თუმცა არსებობს შიში რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მდგომარეობა გართულდება და ძალადობის მეტი შემთხვევა იქნება. რიგ შემთხვევებში, კვლევის მონაწილეები იხსენებენ ფატებს, როდესაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ქმარმა ცოლი მოკლა.

- დაუცველობის შიში ზოგიერთ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლ ქალს აკისრებს პასუხისმგებლობას ძალადობის ფაქტი არ გახდეს ცნობილი სხვებისთვის.

„შიშია იმიტომ, რომ მერე რომ გამოვიდეს რამე არ შაუშავოს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„კი და მე როგორც ვიცი პოლიციაში მიყავთ
მოძალადე ქმრები ხელწერას აწერინებენ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ხო მაგრამ შემდეგ იმუქრებიან. გამოსულა ციხიდან მეუღლე და შემდეგ
მოუკლავს თავისი ცოლი. არ დაავიწყდა ის,რომ მან პოლიციაში დარეკა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მაგის გამო შეიძლება შეიკავოს თავი 112-ში
დარეკვისგან.არის კაცების კატეგორია შურს იძიებს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მეც მქონდა ეგეთი შემთხვევა, მეზობელი ისეთი ნაცემი იყო თვალები არ
უჩანდა, ჯერ საერთოდ გარეთ არ გამოდიოდა, რაღაცა ვიეჭვე და შევედი,
თმები ჰქონდა ჩამოფარებული ესე და რა გჭირს მეთქი და არაფერი ფუტკარმა
მიკბინაო. დედამთილთან ხმა არ ამოვიღე და მერე მივწერე რა გჭირს მეთქი.
ორივე თვალი რომ გაქვს ჩაშავებული, გეხვეწები გაფიცებო არ თქვაო. რა გინდა
გააკეთო, ვერაფერს ვერ იზამ. შეიძლება უარესი ჩხუბი მოხდეს. რომ გაიგებს
უარესს უზამს.... სწორედ მაგას შემეხვეწა, არ გაიგოს იმან რომ შენ მიხვდიო.
შეიძლება იმას უფრო ეცემა რატომ თქვიო. იმ დღეები მანძილზე თვითონ
ისეთ ადგილას მუშაობს გასული იყო სახლიდან და ურეკავდა ხომ არავისთან
თქვა, მაგას ამოწმებდა. არ შეგატყოს არავინ, მეზობლებთან თავი არ მომჭრა.
დამპალო, მეზობლებში თუ არ გინდა თავის მოჭრა რატომ აკეთებ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მერე რა იქნება რომ გამოვა დიდი კითხვის ნიშანია
კიდევ, არავინ არ იცის რო გამოვა რა იქნება.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„არის ისე რომ რაღაც დისტანციაზე არ უნდა მიეკარო, თუმცა მერე შეიძლება
იგივე განმეორდეს, ამხრივ ქალი არაა დაცული.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„კი, ციხიდან რომ გამოვა მერე პასუხისმგებლები
აღარ არიან და შენც აღარ ხარ დაცული.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

→ **შიში, რომ სამართალდამცავები და საზოგადოება არ დაიჯერებენ** - კვლევაში მონაწილე ქალები აღნიშნავდნენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები და საზოგადოება არ უჯერებს ძალადობის მსხვერპლ ქალს. რესპონდენტების ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ კაცი დანაშაულს უარყოფს, ძალადობის მსხვერპლ ქალს, შესაძლოა დანაშაულის დამტკიცება სთხოვონ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ არ ყავთ მოწმე ან არ აქვთ ძალადობის დამადასტურებელი ვიდეო მასალა, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვისგან თავს იკავებენ.

„მაგრამ სირცხვილია ეგეც რომ დარეკო ჩემი ქმარი მცემს და მიშველეთ, გამოგზავნიან ვიღაცას, მერე ქმარი იტყვის რომ არა, იტყუება. მერე ისინიც დაუჯერებენ და წავლენ.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„გამოძახების დროს უჯერებენ კაცს და ვინც იყო მოძალადე.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„პოლიციას მიმართავ ოღონდ უნდა დაამტკიცო, ისე არ დაგიჯერებენ მე ესე ვფიქრობ“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***

„აზრი არ აქვს არ დამიჯერებენ. ფაქტი ხომ უნდა გქონდეს რაღაცა. მოწმე უნდა გყავდეს“. ***[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***

→ **ოჯახური ძალადობის თმენის ვალდებულება და სამართალდამცავი ორგანოების მიმართვის სტიგმა** - ხშირ შემთხვევაში ოჯახური ძალადობა / ქალზე ძალადობა აღნიშნულ რეგიონებში ნორმალიზებულია და ძალადობის მსხვერპლს მოთმენა და უფრო „კარგად“ მოქცევას ავალდებულებს. გარდა ამისა, არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება სამართალდამცავებისთვის მიმართვასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოების ნაწილს უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნია, ვიდრე თავად ძალადობა - *„ქმარი პოლიციისთვის როგორ გაიმეტა?!“.*

„ქმარი როგორ დააჭერინაო ამბობენ“.
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„მაგალითად ჩემს ახლობელს ქმარი სცემდა ყოველ დათრობაზე პოლიციის თანამშრომელი იყო, ჰყავდა საყვარელი თან და საყვარლისგან მისული ცოლს ურტყამდა ასე ვთქვათ. ერთხელაც გამწარებულმა ცოლმა დარეკა პატრულში, რა თქმა უნდა სამსახური დაკარგა იმ კაცმა, 2 წლიანი პატიმრობაც აკიდეს და თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი სამეზობლო ქალს ამტყუნებდა, ეგ რა ქალიაო, როგორ გაიმეტა, რატომ გამოაშკარავა. ერთადერთი ვიყავი მე რომელიც ვიცავდი და მეც შემრაცხეს ვერ არის კარგადო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„შენი ოჯახის პრობლემები რომ გამოიტანო და კანონებს დაუქვემდებარო რაც წერია ჩემთვის ეს ძალიან მიუღებელია.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„კაცი თუ ქალს სცემს უნდა მოითმინოო, ქალი ხარო. მერე რომ გაშორდები ცუდად გიყურებენ უკვე, სხვანაირად იწყებენ ფიქრს“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„მერე ის მიდის პოლიციისთვის როგორ გაიმეტაო.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

სამართალდამცავი ორგანოების ჩართვისგან თავს იკავებენ ის ადამიანებიც, ვისაც ძალადობის შესახებ ინფორმაცია აქვთ:

→ **ოჯახის საქმეა** - საზოგადოების ნაწილის აღქმით, რაც ოჯახში ხდება, იმას ქალი თავად მოაგვარებს, შესაბამისად მათ არ აქვთ ჩარევის უფლება. რესპონდენტების ნაწილი ასევე აღნიშნავდა, რომ ასევე ეშინიათ არ მიიღონ საყვედური მსხვერპლისგან მის პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებით.

→ **მოძალადის შიში** - კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილი აღნიშნავდა, რომ გაიგო მეზობლის ოჯახში ძალადობის შესახებ, თუმცა შეეშინდა ჩარევა ან სამართალდამცავისთვის მიმართვა, ვინაიდან ფიქრობდა რომ ამით თითონაც გადაიმტერებდა მოძალადე კაცს.

„გარეშე პირი რომ არ უნდა ჩაერიოს არც დედა, არც მამა, არც ბებია და ბაბუა, მე ისე მოვაგვარებ პრობლემას, რომ არავის არაფერს არ გავაგებინებ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჩვენ ეხლა ერთი პერიოდი წმინდაწყალზე ვცხოვრობდით და იქ მეზობელი ყოველთვის სვამდა და რომ მოდიოდა ცოლს ეჩხუბებოდა, ერთხელ არ ჩაერია ხალხი, ერთხელ ორჯერ, სამჯერ და მერე უკვე გამოიძახეს პოლიცია. წაიყვანეს ის კაცი და ეს ცოლი პირიქით ჩვენ მოგვდგა რატომ გამოიძახეთო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მერე მე არ გადამეკიდოს ან ჩემს შვილს არ გადაეკიდოს. ეგეც არის“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„თუ მეზობელი დარეკავს ოჯახის ჩხუბზე, შენ ვინ გეკითხება ჩემი ოჯახის, მე რასაც მინდა იმას ვიზამ და გავაკეთებ“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„ყველაზე ისეთია სხვის ოჯახში ჩარევის მომენტი, პასუხი შენი საქმე არ არის, გამიპროტესტებია, მაგრამ შენი საქმე არ არის. ეგ ძალიან ცუდი მომენტია, სანამ არ გავითავისებთ ჩვენი საქმეც არის როდესაც შეიძლება ეს ჩვენ შეგვეხოს ცუდი მომენტია“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

ხშირ შემთხვევაში, ძალადობის „ქალის სირცხვილად“ აღქმი გამო, ძალადობის მსხვერპლი ქალები თავს იკავებენ ამ საკითხზე ახლობლებთან საუბრისგანაც, რის გამოც, ისინი ფაქტიურად ყოველგვარი დაცვისა და მხარდაჭერის გარეშე რჩებიან. შედარებით განსხვავებული ტენდენციაა მოზარდი გოგონების შემთხვევაში, რომლებიც ფიქრობენ რომ თავისუფლად შეძლებენ ძალადობის შესახებ მეგობრებს მოუყვნენ.

„კარის გარეთ არ გამოდის. ყველას ურჩევნია გაჩუმდეს. სირცხვილის გრძნობა აქვთ“.
ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„არავის არ გამოაქვს გარეთ, არ არის მიღებული ჩვენში“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„შეიძლება უფრო მეგობართან დაილაპარაკოს ესეთ საკითხებზე“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„როცა ოჯახში რაღაც პრობლემაა მეგობარს ელაპარაკები ის გამშვიდებს“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

3.4. სერვისები და პროგრამები

3.4.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები და პროგრამები

კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებისა და პროგრამების შესახებ. ძირითად შემთხვევაში, მხოლოდ ოჯახის ექიმის და გინეკოლოგის მომსახურებით უსარგებლიათ, შესაბამისად, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში ფიქრობენ რომ გინეკოლოგთან / ოჯახის ექიმთან კონსულტაცია დაეხმარებათ მიიღონ ინფორმაცია სასურველ მომსახურებებზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ, გარდა ინფორმაციის ნაკლებობისა, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ქალებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომობაც არ არის:

- → რესპონდენტების თანახმად, ხარისხიანი სერვისი (კვალიფიციური მომსახურება) უმეტეს წილად მათ რეგიონში ხელმისაწვდომი საერთოდ არ არის;
- → სამედიცინო სერვისები ნაკლებად ხელმისაწვდომია ფინანსური თვალსაზრისითაც: ზოგიერთი სერვისი (მაგალითად უშვილობის მკურნალობა) თავისთავად მაღალი ფასის მქონეა. თუმცა, რესპონდენტების თანახმად მკურნალობა ნაკლებად ხელმისაწვდომია უფასო პროგრამების / სერვისების ფარგლებშიც, სადაც როგორც წესი უფასო არის ექიმის კონსულტაცია, თუმცა შემდეგ უჭირთ დანიშნული მკურნალობის შესრულება და საჭირო მედიკამენტების შეძენა

„თუ გადასხმა, ანალიზების აღება გჭირდება მაშინ თბილისში უნდა წახვიდე“.
[მოზარდი გოგონები, წილკანი]

„ხან თანხა არ გაქვს, შეიძლება მიხვიდე გესინჯო,მაგრამ წამლების ისეთი ფასებია დღეს მითუმეტეს რომ ვერ იყიდი, ვერ ჩაიტარებ იმ მკურნალობას და აბრი?
სჯობია გაანებო თავი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„როგორ არ არის წამალსრომ გამოგიწერს მერე რაღას იზამ და ექიმთა მისვლა მარტივია. მერე მკურნალობა ძალიან რთულია, ფინანსურს უკავშირდება“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

ხელმისაწვდომობის გარდა, სექსუალური და რეპროდუქციული სერვისების მიღების ბარიერს წარმოადგენს ასევე ზოგადად ექიმთან წასვლასთან დაკავშირებით განწყობა. რესპონდენტების თანახმად, არა მხოლოდ გინეკოლოგიური საჭიროებების შემთხვევაში, ზოგადადაც ისინი ექიმთან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიდიან. როგორც წესი, ერთმანეთთან რჩევით ან ძველი გამოცდილებით თვითმკურნალობას ცდილობენ, ან უბრალოდ დებენ ექიმთან ვიზიტს სხვა, მათთვის უფრო პრიორიტეტული საქმეების შესასრულებლად.

„მე ეგრე ვარ. გგონია რომ ეს ცოტაა და გამივლის, მერე რომ ვერ მიდიხარ დიდი ხდება და იმ დიდზე რომ მიდიხარ აღარაფერი აღარ გშველის“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„სამწუხაროდ ძალიან ცუდი ის არის, ექიმთან მისვლა გვეზარება. მე მაგალითად შვილის გაჩენის შემდეგ არ ვყოფილვარ გინეკოლოგთან, შარშან მქონდა პრობლემა და მაშინ მივედი, ეს არის სირცხვილი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„გინდაც კუჭის ტკივილი მკლავს და ექიმთან მისვლა მეზარება. ეს არის დაუდევრობა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

ზოგიერთი რესპონდენტი ახსენებდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით არასამთავრობო ან სამთავრობო სექტორის მიერ მოწყობილ ღონისძიებებს:

- ჰიგიენური საშუალებების უფასოდ დარიგება - აღნიშნავდნენ რომ ერთჯერადად იყო, რამდენიმე წლის წინ;
- კონტრაცეპტივების დარიგება - რამდენჯერმე ახსენეს სხვადასხვა რეგიონში, თუმცა, ბოლო დროს არ ახსენდებათ მსგავსი აქტივობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა თემატიკაზე მიძღვნილი ტრეინინგი ან საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება: ტრეფიკინგი, ძალადობა, ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

„გენდერულთან ძირითადად, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან ჰერა იყო ყველაზე კარგად ძალიან ხშირად”.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ქალის კვლევებზე იყო, ჯანმრთელობაზე. თუ რამე დაგვჭირდება მივმართოთ ექიმს“.
[ფერტილური ასაკის გოგონები, წილკანი]

„მაგალითად ტრეფიკინგზეც ჩატარებულა ტრეინინგი, დავსწრებივარ. საინტერესო ტრეინინგი იყო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

კვლევის თანახმად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებსა და პროგრამებზე, კვლევის მონაწილეებს შემდეგი ინფორმაცია აქვთ:

- **სკრინინგ პროგრამები** - ყველაზე მეტად ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს ინფორმაცია საშვილოსნოს ყელისა და ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამების შესახებ ქონდათ.
    - ინფორმაციას სკრინინგ პროგრამების შესახებ იღებდნენ როგორც ერთმანეთისგან, ასევე სატელევიზიო რგოლების, საინფორმაციო ბუკლეტების და უბნის ექიმის / გინეკოლოგისგანაც
    - რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ თავადაც უსარგებლია მკერდის ან საშვილოსნოს ყელის გამოკვლევით სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში

- კვლევის მონაწილეთა ინფორმაციით, უფასო სკრინინგ პროგრამაში ჩართვა ასაკით არის შეზღუდული და მხოლოდ 35-40 წელს გადაცილებული ქალებისთვის არის ხელმისაწვდომი

- სკრინინგ პროგრამებით უკმაყოფილებას მხოლოდ პასუხების მიღებისთვის საჭირო დიდი დრო იწვევს (1 თვე უწევთ ლოდინი)

„სქრინინგ ცენტრებია, ჩვენთან ხშირად ჩამოდიან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ყველაფრის. პატარა პრობლემა მქონდა, მივედი გინეკოლოგთან, ასაკი რომ მკითხა ეგრევე შემაგდეს სკრინინგის გამოკვლევაზე. კარგი იყო გადავამოწმეთ ყველაფერი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„საკმაოდ ხშირად არის ხოლმე უფასო გამოკვლევების აქციები, განსაკუთრებით აქ ჩვენთან დევნილთა დასახლებაში. ის კი არა ცოტა ყელშიც კი აქვთ ხალხს ამოსული იმდენად ხშირადაა“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

→ **სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამოვლენა და კონტროლი** - კვლევის მონაწილეებს ქონდათ ინფორმაცია ზოგიერთ სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებაზე (მაგ: აივ / შიდსი, ბ ჰეპატიტი), თუმცა, არ აქვთ ინფორმაცია კონკრეტულ სერვისებსა ან პროგრამებზე, რომელიც ამ დაავადებების გამოვლენას და კონტოლს ეხება. კვლევის მონაწილეებს აქვთ მოლოდინი, რომ საჭიროების შემთხვევაში გინეკოლოგი შეძლებს ანალიზის გაკეთებას ან მისცემს რჩევას ვის მიმართონ.

- ერთეულ შემთხვევაში ახსენეს წლების წინ არსებული უფასო პროგრამა (ვერხვებში, 2008 წლის ომის შემდეგ)

„საყოველთაო იყო, ჩვენ გავიკეთეთ მეტ-ნაკლებად ყველამ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

→ **პაპილომა ვირუსი** - კვლევის მონაწილეებს სმენიათ მოზარდი გოგონებისთვის პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის პროგრამაზე, თუმცა, არ ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას. ასევე არ აქვთ ინფორმაცია თავად პაპილომა ვირუსის შესახებ, მათ შორის მოზარდ გოგონებსაც.

→ **სექსუალური დისფუნქციის მკურნალობა** - არ სმენიათ

→ **ტუბერკულოზის გამოვლენა / ვაქცინაცია** - არ სმენიათ

→ **კონტრაცეფცია** - ზოგადად კონტრაცეპტივები ხელმისაწვდომად მიაჩნდათ. კვლევის მონაწილეების თანახმად, მათი შეძენა ნებისმიერ აფთიაქშია შესაძლებელი, თუმცა, ერთეულ შემთხვევაში ახსენეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ არის ფინანსურად ხელმისაწვდომი.

- თითქმის ყველა რეგიონში ახსოვთ კონტრაცეპტივების დარიგების პროგრამა (აგვისტოს ომის შემდეგ, ურიგდებოდათ კლინიკაში)

- ერთეულმა რესპონდენტმა ახსენა კონდომების გამოყენების ბარიერი - ქმრებისთვის მიუღებელია, შესაბამისად ვერ სთავაზობენ კონდომით თავის დაცვას და უწევთ თავად დაიცვან თავი (სპირალი, მილების გადაკეთვა, მედიკამენტები)

„კი იყიდება, როგორც ვიცი უფასოდ აქაც იყო ხოლმე, უფასოდაც რიგდებოდა კონტრაცეპტივები“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„აქ პირველად რომ ცამოვსახლდით ამბულატორიაც ჰქონდათ და გვირიგებდნენ რომ არ გავმრავლებულიყავით უცბად“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

→ **ქალის სტერილიზაციასთან ან მილების გადაკვასთან დაკავშირებით** კვლევის მონაწილეებს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია აქვთ. აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში გინეკოლოგთან გაივლიან კონსულტაციას მეტი ინფორმაციისთვის. თუმცა, მილების გადაკეტვასთან დაკავშირებით გამოვლინდა არასწორი ინფორმირების პრობლემაც: მათი ინფორმაციით, მილების გადაკეტვა აზიანებს ქალის ჯანმრთელობას / საშვილოსნოს.

„მერე ცუდად არიან როგორც ვიცი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მენსტრუაციის დროს ძაან ცუდად ხდება, ის ღიად გაედინება და ძაან ცუდ რაღაცეებ იწვევს. როგორც ვიცი არ არის კარგი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

→ **სუროგაცია, ხელოვნური განაყოფიერება** - კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სუროგაციის ან ხელოვნური განაყოფიერების სერვისებზე, თუმცა მათი აღქმით ორივე სერვისი ფასის თვალსაზრისით ხელმისაწვდომი არ არის, რაც უშვილო წყვილებისთვის მათი გამოყენების მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

- გარდა მაღალი ფასისა, სუროგაციისა და ხელოვნური განაყოფიერების სერვისის მიმართვის ბარიერი რელიგიური მოსაზრებებიც არის. კვლევის მონაწილეთა თანახმად, სუროგაცია რელიგიის თვალსაზრისით დაუშვებლად მიიჩნევა;

- თუმცა, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ შვილის ყოლას ყველა ქალი იმსახურებს, კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალების ნაწილი აღნიშნავდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა როგორც სუროგაცია, ასევე ხელოვნური განაყოფიერება მისაღები იყოს.

„ეკლესიამ აკრძალა რომ ხელოვნური განაყოფიერება არ უნდა მოხდესო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„როგორ არ შეიძლება შვილის ყოლა უნდა და რატომ არ უნდა ჰყავდეს შვილი“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„მე მაგალითად არ ვთვლი ცუდად, ვიღაცა უშვილო წყვილს რომ ეხმარება და ჩუქნის, სუროგატი დედა არის უბრალოდ სხეული და სხვა არაფერი. ჩემი აზრით არ უნდა იყოს ეგეთი ის“.
[***ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]***

„მე არ ვეტანხმები რელიგიის გამოც, თუ უნდა შვილის გაჩენა თავისთვის გააჩინოს სიტყვაზე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ეს ხელოვნური განაყოფიერებაც, ზოგს არა აქვს იმდენი საშუალება ძვირადღირებულია“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ბევრი მინახავს არ არის მდიდარი, მაგრამ ძალიან როცა უნდა შვილი რაღაცა გაუყუდია, ბანკის ვალია აიღო დღემდე რომ იხდის“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

→ **ორსულობის შეწყვეტა** - კვლევაში მონაწილე ფერტილური ასაკის ქალებისთვის ორსულობის შეწყვეტა სენსიტიური საკითხია. ზოგიერთი მათგანი, პირადი შეხედულებების გამო ზოგადად მიუღებლად მიიჩნევდა ორსულობის რაიმე მიზეზით შეწყვეტას.

- კვლევის მონაწილეებს უჭირდათ სელექციურ აბორტზე საუბარი, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნა, რომ სმენიათ ქმრების / ოჯახის წევრების მხრიდან ორსულობის შეწყვეტის მოთხოვნა გოგოს შემთხვევაში. ასევე, აღინიშნა, რომ ბავშვის სქესს მაშინაც აქვს მნიშვნელობა, თუ წყვილს შვილი დიდი ხნის განმავლობაში არ უჩნდება.

- კვლევის მონაწილეთა აღქმით, დღეს ქალებს აქვთ უფლება თავად / ერთპიროვნულად მიიღონ გადაწყვეტილება ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა, კვლევის მონაწილეების მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ, ხშირ შემთხვევაში ქალებს უბრალოდ უწევთ დამალონ ორსულად ყოფნის ფაქტი, იმისთვის რომ თავად შეძლონ გადაწყვეტილების მიღება ორსულობის შეწყვეტაზე.

- თავად რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება მისაღები არ არის და ასეთი საკითხი მეუღლესთან / ოჯახთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს.

„მე 9 წელი საერთოდ არ მყავდა შვილი, 9 წლის შემდეგ მეყოლა გოგო და ჩემს ქმარს აწყნარებდნენ რომ მეორე იქნება ბიჭიო“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„ჩემს ირგვლივ პირიქით არის, ქალი იკეთებს და კაცს უნდა. მე ვიცი ეგეთი შემთხვევები კაცმა არც იცის საერთოდ.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„რათქმაუნდა გვსმენია, თუ ისევ გოგოა ქმარი რომ აიძულებს მოიშოროს იმიტომ რომ მას ბიჭი უნდა.“
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„ესე წესით და კანონით სწორი იქნება ორივეს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგრამ ძირითად შემთხვევაში მაინც დედა წყვეტს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

„კაცი როგორ გაიგებს შენ დაფეხმძიმდი არ დაფეხმძიმდი ხომ. გააჩენ არ გააჩენ.“ ***[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]***

„ჩემს გარშემო რომ მისაუბრია მეგობრებს ქმარს არ სცოდნია ისე იკეთებენ, შესაძლებელია, მაგას ვეთანხმები. არ არის პრობლება.“
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„მე აბორტის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, არც გამიკეთებია და ცხოვრებაში 10 შვილიც რომ მეყოლოს არ გავიკეთებ, ღმერთი რასაც მოგცემს ეგ არის გოგოც და ბიჭიც“.
[ფერტილური ასაკის ქალები, წილკანი]

→ რაც შეეხება სერვისებს, ყველა რეგიონში ქალებს აქვთ ინფორმაცია სად არის შესაძლებელი ორსულობის შეწყვეტა. აღინიშნა, რომ ეს სერვისი მათ რეგიონშიც არის ხელმისაწვდომი.

- საგულისხმოა, რომ ქალებს აქვთ ასევე ინფორმაცია არალიცენზირებული კლინიკების ან ცალკეული ექიმების შესახებ, რომლებიც ორსულობის შეწყვეტის მომსახურებას ქალებს არალეგალურად უწევს, მათ შორის, კანონით დადგენილი ვადის შემდეგაც.

„არის კერძო კლინიკები, სადაც ჩუმად არის და გამიგია, რომ ექიმები არიან რომლებიც ჩუმად აკეთებენ ისე, რომ არავინ არაფერი არ იცის“.
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

„გორში მაგალითად ერთი ექიმი ვიცი რომელსაც არ ეკრძალება. ვირაცამ ხომ უნდა აკეთოს. არის ექიმი, რომელიც ვიცით რომ მუშაობს ამ საქმეზე და მიდიან მასთან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

3.4.2. ძალადობისგან დაცვის და ძალადობის მსხვერპლის მხარდამჭერი პროგრამები

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ქალაქებში მცხოვრებ, როგორც მოზარდ გოგოებს, ასევე ფერტილური ასაკის ქალებს აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძალადობის შემთხვევაში შესაძლებელია 112-ზე დარეკვონ. თუმცა დაზუსტებით არ იციან კონკრეტულად რა სახის დახმარების მიღებაა შესაძლებელი. კვლევის მონაწილეები ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელია 112-ზე გარდა უშუალოდ ძალადობრივი შემთხვევის შეტყობინებისა, ასევე შესაძლებელი იყოს ინფორმაციის მიღება იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასთან დაკავშირებითაც.

ერთეულმა რესპონდენტმა ახსენა 112 ის აპლიკაციაც, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დახმარება ტელეფონზე დარეკვის გარეშე ითხოვო.

„სმს მომდის თუ ხართ ძალადობის მსხვერპლი დარეკეთ 112-ში.“
[მოზარდი გოგონები, წეროვანი]

„შეგიძლია 112-ში დარეკო, თან ფსიქოლოგიური დახმარებაც იქნება.“
[მოზარდი გოგონები, ერგნეთი]

„სხვა და სხვა რაღაცეები შეგიძლია, რომ 112-ს ელაპარაკო. შეგიძლია უთხრა ძალადობასთან დაკავშირებით და მერე თვითონ გეუბნებიან ადგილს და მიხვალ.“
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

კვლევაში მონაწილე მოზარდ გოგონებსა და ქალებს თითქმის არ ქონიათ ინფორმაცია ძალადობის მხარდამჭერ პროგრამებსა და სერვისებზე:

- → რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ სმენია ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის თავშესაფრის არსებობის შესახებ, თუმდა არ ფლობდნენ კონკრეტულ ინფორმაციას - ვინ სთავაზობს თავშესაფარს, როგორ შეიძლება მისი მოთხოვნა, ან სად არის თავშესაფრები. კვლევის მონაწილეთა ინფორმაციით, აღნიშნული თავშესაფრები მათ რეგიონში არ არსებობს.
- → ერთეულ შემთხვევაში ახსენეს, რომ არსებობს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ფსიქოლოგიური და იურიდიული სერვისებიც, თუმცა, უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ აღნიშნული სერვისებიც მხოლოდ თბილისშია ხელმისაწვდომი და საერთოდ არ არის მათ რეგიონში. ერთეული რესპონდენტის ინფორმაციით, იურიდიული დახმარების მიღება წეროვანშიც არის შესაძლებელი, თუმცა აღნიშნულით არავის უსარგებლია.
- → ასევე ერთეულ შემთხვევაში, კვლევის მონაწილეებმა ახსენეს ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი GCRT.

„იურიდიული დახმარების, ფსიქოლოგიური ცენტრებიც
არსებობს თბილისში როგორც ვიცი.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„ჩვენთან არის იურიდიული ცენტრი და იმის გვაქვს ყველანაირი კონტაქტი და
მონაცემი. მომართვით არავის არ მოუმართავს, თორემ
იმასაც მოვუძიებთ, არც ეგ არ არის პრობლემა.“
[ფერტილური ასაკის ქალები, წეროვანი]

„კი, თავშესაფრები არის დედისთვის და ქალებისთვის, ტელევიზიიდან გამიგია.“
[მოზარდი გოგონები, ვერხვები]

“რაღაც შენობა არის, მაგრამ როგორ უნდა მიმართო და რანაირად არ ვიცი.
ალბათ ტელეფონი არსებობს, გორში არსებობს ეგეთი შენობა, სახელი
დამავიწყდა, ქმარი რომ ძალადობს მსხვერპლზე,
არის ეგეთი თავშესაფარი სადაც მიჰყავთ ხოლმე“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

3.5. ინფორმაცია ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრის იქეთ დარჩენილი მოზარდი გოგონებისა და ქალების საჭიროებების შესახებ

კვლევის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოზარდ გოგონებსა და ფერტილური ასაკის ქალებს, არ აქვთ კომუნიკაცია საზღვრის იქით დარჩენილ მოსახლეობასთან. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ საერთოდ არ აქვთ კონტაქტი საზღვის იქეთ დარჩენილ მოსახლეობასთან, შესაბამისად ვერ შეძლეს იქ არსებული მოზარდი გოგონებისა და ფერტილური ასაკის ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და სერვისებზე საუბარი.

„არ ვიცით ჩვენ შეხება არ გვაქვს ოსებთან“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„ცხინვალში? არ ვიცით. ტელევიზორით თუ რამეს მოვისმენთ“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ვერხვები]

„არ იღებენ ისინი ჩვენგან არაფერს, კავშირი არ გვაქვს“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]

„ისეთი სიტუაცია გვაქვს რომ ვერ ვაწვდით ხმას“.
[ფერტილური ასაკის ქალები, ერგნეთი]